საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 8 ოქტომბერი. 2021 წ. №185 (9304) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

„ჩამოშლილი სახელმწიფოს“ ნაცვლად ნაცხროვის ბელადს კარგად ორგანიზებული სახელმწიფო სისტემა დახვდა!

ირაკლი ღარიბაშვილის ღია წერილი სიცრუის ჭაობში ჩამხრჩვალ ოპოზიციას

„მეგობრებო, ალბათ ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ფიქრობს, რა ამოძრავებდა მიხეილ სააკაშვილს, როდესაც საქართველოში თავისი ავანტიურისტული ჩამოსვლა დაგეგმა.

ვერსია სხვადასხვა შეიძლება იყოს. ზოგი ფიქრობს, რომ ძალაუფლების დაბრუნების წყურვილმა, ეგოიზმმა და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერებზე ეჭვიანობამ სძლია და ყურადღების ცენტრში მოსაქცევად, შეგნებულად ჩაჯდა ციხეში.

ზოგი ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადატრიალების განზრახვით დაბრუნდა, რის წარმატებაშიც ღრმად იყო დარწმუნებული. საუბრობენ იმაზეც, რომ ნარკოტიკებზე მძიმე დამოკიდებულების ფონზე, თავისი გადაწყვეტილების შედეგების გათვლა გაუჭირდა.

მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობა ციხეში შესვლამდე და შესვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ შფოთავენ, რომ მათი ლიდერი მძიმე მდგომარეობაშია და ციხიდან დაუყოვნებლივ გაყვანას ითხოვს. ამბობს, რომ ის არც მერაბიშვილია და არც ახალაია, და ციხეში დიდხანს დარჩენას ვერ შეეგუება. სააკაშვილის ეს მდგომარეობა გუნდში მძიმედ მიიღეს, თუმცა არც იციან, რა უნდა მოიმოქმედონ.

რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლის ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიებს. ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილი შეგნებულად ჩაჯდა ციხეში და ეს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, აბსურდულად მიმაჩნია. მით უმეტეს, ეს რომ ნდომოდა, მაშინ არა ქურდულად და კანონის დარღვევით, არამედ ვაჟკაცურად (რამდენად არარელევანტურადაც უნდა ჟღერდეს სააკაშვილთან მიმართებით) შემოვიდოდა და ჩაჯდებოდა ციხეში. ამგვარი ნაბიჯით ის გაამძაფრებდა მისსავე გზავნილს საქმეების შეკერვისა და პოლიტპატიმრობის შესახებ. ახლა კი, როდესაც ის საქართველოში ახალი დანაშაულის ჩადენის გზით შემოვიდა, მან ამ გზავნილს ფორმალური საფუძველიც კი გამოაცალა.

ალოგიკური გადაწყვეტილების ნარკოტიკებზე გადაბრალებაც აბსურდი მგონია. როგორი ნარკოდამოკიდებულიც უნდა იყოს ადამიანი, მას ყოველთვის აქვს საკმარისი დრო, რომ ალოგიკურ ნაბიჯზე აიღოს ხელი.

შესაბამისად, ყველაზე ლოგიკურად მაინც ის ვერსია შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სააკაშვილი საქართველოში არა ციხეში შესვლის გათვლით, არამედ ხელისუფლების გადატრიალების მყარი იმედით ჩამოვიდა.

აქვე საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ სააკაშვილის რევოლუციური განზრახვა ყველა შემთხვევაში წარუმატებლობისთვის იყო განწირული. მისივე გეგმის მიხედვით, 3 ოქტომბერს მოულოდნელადაც რომ გამოჩენილიყო რუსთაველზე, პოლიცია წყლის ჭავლის ან მაქსიმუმ, მხუთავი აირის გამოყენებით დაშლიდა მათ მაქსიმუმ 5000-კაციან შეკრებას და სააკაშვილს უმარტივესად დააკავებდა. სააკაშვილს შეიძლება აღარ ახსოვდა, რომ გიორგი გახარია პრემიერი აღარაა და დღეს სახელისუფლო გუნდი ერთიანია, როგორც არასდროს.

ბუნებრივად ისმის შეკითხვა — მაშინ რა აძლევდა სააკაშვილს წარმატების იმედს? რჩება უკმარისობის განცდა სააკაშვილის ჩამოსვლის ლოგიკური მიზეზის ძიებისას.

ვფიქრობ, ამ შეკითხვაზე პასუხი საქართველოს უახლოეს ისტორიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას მათივე წარსულ გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ საქართველო იყო პირველი მერცხალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში. იყო დიდი ენთუზიაზმი, მაგრამ არ გვეყო გამოცდილება და დამოუკიდებლობის მიღებიდან მალევე, პირველი პრეზიდენტი მოვკალით. ამის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა უკვე ასაკში შესული შევარდნაძე, რომლის პრეზიდენტობის დროსაც, მათ შორის „მხედრიონის“ ალვირახსნილობისა და ზღვარგადასული კორუფციის გამო, სახელმწიფო სრულიად დაკნინებული იყო. ამ ფონზე, 2003 წელს იმუნიტეტდაქვეითებულ ქვეყანაში სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალაუფლება ხელისუფლების გადატრიალების გზით, ქვების სროლით იოლად მოიპოვეს. სახელმწიფო და ინსტიტუტები იმდენად იყო დაკნინებული, რომ შევარდნაძე უკვე პირადი უსაფრთხოების სამსახურსაც კი ველარ აკონტროლებდა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ 9 წლის განმავლობაში ქვეყანას ყველანაირი უბედურება დააწია. ისინი ყველაფრის უფლებას აძლევდნენ თავს, ჩაიდინეს უამრავი დანაშაული, მათ შორის — მიიტაცეს თითქმის ყველა მედიასაშუალება, რაც მათ ყველა წარუმატებლობის წარმატებად წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევდა. სააკაშვილი საკუთარ თავს უმღერდა „მიშა მაგარია“-ს და თავისი სიცრუე თავადვე დაიჯერა. სინამდვილეში კი, „ნაციონალური მოძრაობა“ არის კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ხელმოცარული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც არაფრის სწორად დაგეგმვა და მართვა არ შეუძლია. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. სააკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლა და ხელისუფლების გადატრიალება ზუსტად ისეთივე „წარმატებით“ დაგეგმა, როგორი „წარმატებითაც“ თავის დროზე ქვეყანას მართავდა. ასეთია მისი გუნდიც — „ნაციონალური მოძრაობაც“, და სწორედ ამიტომ იქცა მათი 9-წლიანი სახელისუფლო და 9-წლიანი ოპოზიციური საქმიანობა წარუმატებლობის 18-წლიან ისტორიად.

ამასთან, მათ ვერც ის გაითვალისწინეს, რომ 2003 წლის დაკნინებული სახელმწიფო ინსტიტუტების ნაცვლად, დღეს მათ კარგად ორგანიზებული სახელმწიფო ინსტიტუტები დახვდათ. ეგონათ, რომ მარტივად შეძლებდნენ გეგმის განხორციელებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისინი თავისივე სიცრუის მსხვერპლი გახდნენ. უკვე წლებია, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი პროპაგანდისტული პარტიული ტელევიზიები ცდილობენ დაამკვიდრონ ყალბი აღქმა „ჩამოშლილი სახელმწიფოს“ შესახებ და ეს ტყუილი, აშკარაა, რომ თავადვე დაიჯერეს. სინამდვილეში, „ჩამოშლილი სახელმწიფოს“ ნაცვლად, სააკაშვილს საქართველოში კარგად ორგანიზებული სახელმწიფო სისტემა დახვდა.

სწორედ ამ ყველაფრით აიხსნება სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის რადიკალური ცვლილებაც ციხეში შესვლამდე და ციხეში შესვლის შემდეგ — გაღიმებული შევიდა ციხეში და ახლა არაფერი ადარდებს, გარდა იმისა, რომ როგორმე ციხიდან გამოვიდეს“...

ვინც ამ წერილში სიმართლეს და პრინციპულობას ვერ ხედავს, საკუთარი თავის და გასაცოდავებული მიშისტების მტერია! ფრთხილად, ცოდვილნო!

მსოფლიოს არცერთ ლიდერს არ უთქვამს - „თავისუფლება მიშას!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაკავებასა და უკრაინისთვის შესაძლო გადაცემას უკრაინული მედია ეხმაურება. სტატიას სათაურით „შეუძლია თუ არა უკრაინას სააკაშვილის ქართული ციხიდან დახსნა?“ გამოცემა ЕВРОПЕЙСЬКАЯ ПРАВДА **აძვეყნებს.**

„ზელენსკიმ განაცხადა, რომ სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებას გეგმავს. ეს განცხადება ფორმალობა იყო, თუ კიევი ნამდვილად შეეცდება, დაიხსნას საქართველოს ექსპრეზიდენტი ციხიდან და არსებობს თუ არა ამისთვის რეალური საფუძველი? თეორიულად, ასეთი შესაძლებლობა არსებობს: საქართველოს შეუძლია გადასცეს სააკაშვილი უკრაინას, მაგრამ არსებობს რამდენიმე „მაგრამ“.

- **პირველი – კიევში ჩამოსვლის შემთხვევაში სააკაშვილი ვერ გათავისუფლდება, ის უბრალოდ უკრაინულ ციხეში მოხვდება, თანაც დიდი ხნით.**
- **მეორე – ამ შემთხვევაშიც კი, სასჯელის მოსახდელად უკრაინისთვის მისი გადაცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ რამდენიმე წელიწადში.**
- **მესამე – საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგები და დასავლეთის რეაქცია ბოლოდროინდელ მოვლენებზე სააკაშვილის ბედს კიდევ უფრო ართულებს.**

ყველაზე მთავარი კითხვა ასე ჟღერს: მზადაა თუ არა უკრაინა, დააყენოს სააკაშვილის ინტერესები საქართველოსთან ურთიერთობებზე მაღლა? მოკლე პასუხია – არა. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებების ტონი საკმაოდ კორექტულია: კიევი ითხოვს სააკაშვილისთვის სამართლიან სასამართლოს და კონსულთან წვდომის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო საჯაროდ ჰპირდება ქართულ ხელისუფლებას, რომ არ ჩაერევა თბილისის შიდა საქმეებში სააკაშვილის გასამართლების კონტექსტში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი უკრაინელ კოლეგებთან კონსულტაციის შემდეგ ასევე საკმაოდ მშვიდია. თუმცა, დავუბრუნდეთ სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნების საკითხს, როგორც თეორიულ შესაძლებლობას.

საერთაშორისო სამართალში არსებობს სქემა ასეთი პატიმრების სამშობლოში დაბრუნებისთვის. ხანდახან ადამიანს აკავებენ და ასამართლებენ ისეთ ქვეყანაში, სადაც მისთვის უცხო ენა და კულტურაა, რაც სასჯელის მოხდას განსაკუთრებით ართულებს, ამიტომ ასეთ პატიმრებს სასჯელის სამშობლოში მოხდის საშუალება ეძლევათ. დიახ, სააკაშვილის შემთხვევაში ეს არარელევანტურია, მაგრამ კანონი ყველასთვის ერთია. შესაბამისად, არსებობს როგორც ევროპის საბჭოს კონვენცია, ასევე ქართულ-უკრაინული ორმხრივი შეთანხმება, თუმცა ამ სცენარის განხორციელების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია.



პირველი რიგში, ასეთი მექანიზმი საკაშვილის გათავისუფლების უფლებას არ იძლევა. ამის მიხედვით, უკრაინამ უნდა დაადასტუროს, რომ კიევში ჩამოყვანისთანავე სააკაშვილი ციხეში მოხვდება. ეს ნამდვილად არ სურს მიხეილ სააკაშვილს, რის შესახებაც მან უკვე განაცხადა. გარდა ამისა, ზემოხსენებული მექანიზმი ანიჭებს ოფიციალურ თბილისს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას – გაგზავნოს სააკაშვილი საზღვარგარეთ. საქართველოს ხელისუფლებამ ასეთ სცენარზე საჯაროდ თქვა უარი და ეს არაა გასაკვირი, ვინაიდან სააკაშვილი მათთვის პრობლემების მუდმივი გენერატორია.

ერთადერთი, რასაც სიტუაციის შეცვლა შეუძლია, დასავლეთის მხრიდან ზეწოლაა. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროკავშირი და აშშ თბილისზე სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემის მიზნით ზეწოლას მოახდენენ და ამაზე სააკაშვილსაც დაითანხმებენ (რაც კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა), საქართველოს ხელისუფლებას ექნება უფლება, ამაზე უარი განაცხადოს, რამეთუ ჯერ მიხეილ სააკაშვილის მიმართ სასამართლოში არსებულ საქმეებზე განაჩენები უნდა დადგეს. ეს კი, განსაკუთრებით აპელაციის შეტანის შემთხვევაში, არაერთი წელი შეიძლება გაგრძელდეს. სააკაშვილის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი,

ოპოზიციონერ მელიებს, ბოკუჩავებს და გვარამიებს არ წააკითხოთ!

რომ დასავლეთი ჩარევის მზადყოფნას არ გამოთქვამს. სააკაშვილის დაკავებიდან უკვე რამდენიმე დღეა გასული, თუმცა არც ევროკავშირს და არც აშშ-ს მსგავსი განცხადებები არ გაუკეთებიათ. ისინი სააკაშვილისთვის მხოლოდ „სამართლიან სასამართლოს“ ითხოვენ. მსოფლიოს არცერთ ლიდერს არ უთქვამს „თავისუფლება მიშას!“.

ქართული ოპოზიციის ხმამაღალი განცხადებები არჩევნების გაყალბების თაობაზე სათანადო მხარდაჭერას ვერ პოულობს – მეტიც, აშშ-მა და ევროკავშირმა მხარეებს ვითარების დეპოლარიზაციისა და არჩევნების მეორე ტურის მშვიდი ჩატარებისკენ მოუწოდეს. ევროპარლამენტი, რომელიც ცნობილია უცხო ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თავისი მძაფრი და ხმამაღალი განცხადებებით, სააკაშვილს განსაკუთრებულ მხარდაჭერას არ უცხადებს.

„ევროპის სახალხო პარტიაც“ კი, რომლის წევრიც სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობაა“, ძველებურად ვერ ბაქიბუქობს... აღსანიშნავია ისიც, რომ „ევროპის სახალხო პარტიის“ ერთერთი ლიდერი, ევროპარლამენტარი მიხაელ გალერი თბილისში არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა, მაგრამ თავისი კოლეგის დასაცავად არაფერი უთქვამს. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილმა ვერ მიიღო უკრაინისა თუ დასავლეთისგან ისეთი მხარდაჭერა, როგორსაც ელოდა“, – აღნიშნულია სტატიაში, რომლის ავტორებიც Европейськая правда-ს რედაქტორები **იური პანჩენკო** და **სერგეი სიდორენკო** არიან.

ორბელიანების სასახლეში მონტენეგროს პრეზიდენტს უმასპინძლეს

მონტენეგროს პრეზიდენტის, მილო ჯუკანოვიჩის დახვედრის ოფიციალური ცერემონია, რომელიც ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიაში საქართველოს პირველად სტუმრობს, ორბელიანების სასახლეში გაიმართა.

დახვედრის ცერემონიაზე შესრულდა მონტენეგროს და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, პრეზიდენტებმა პატივი მიაგეს საქართველოს სახელმწიფო დროშას და ერთმანეთს სახელმწიფო დელეგაციები წარუდგინეს. დახვედრის ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ: საქართველოს პარლამენტის მონტენეგროს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი თამარ ტალიაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ნათია სულავა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თემურ ჯანჯალია, საქართველოს ელჩი მონტენეგროში ეზაალ გოგსაძე, პრეზიდენტის მრჩეველი ლიანა ჯერვალიძე, ხოლო მონტენეგროს მხრიდან: მონტენეგროს ელჩი საქართველოში დრაგიკა პონორაკი, მონტენეგროს პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი მილან როჟენი, მონტენეგროს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში თამარა ბრაჟოვიჩი. დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა პირისპირ და გაფართოებული შემადგენლობით.

ვიზიტის ფარგლებში მონტენეგროს პრეზიდენტი პირისპირ შეხვდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს. ორი ქვეყნის დელეგაციებს შორის ასევე გაიმართა გაფართოებული ფორმატის შეხვედრა.

აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამმხრივი თავდაცვის მინისტერიალი

საქართველოში აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამმხრივი თავდაცვის მინისტერიალი დასრულდა. რეგიონის უსაფრთხოება, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებები და სამომავლო გეგმები – ეს საკითხები განიხილეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ, აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ზაქირ ჰასანოვმა და თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აკარმა კახეთში, წინანდალში გამართულ სამმხრივ შეხვედრაზე.

ჯუანშერ ბურჭულაძის განცხადებით, თავდაცვის სფეროში სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი შედეგიანია და რეგიონში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ემსახურება.

„აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას, ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონის უსაფრთხოებისათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და თავდაცვის ძალების განვითარებისათვის“, – განაცხადა ბურჭულაძემ.

პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა მიხეილ სააკაშვილი მოინახულა

დეკანოზმა **მიქაელ ბოტკოველმა ბატონ მიხეილ სააკაშვილს გადასცა უწმინდესის დალოცვა და ეკლესიის სახელით სთხოვა, შეეწყვიტა შიმშილობა, რადგან ეს არის არაქრისტიანული ქმედება.**

2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲬᲧᲕᲔᲢᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ 2-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ, ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲦᲘᲐᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ:

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲘᲡᲣᲜᲗᲥᲐ!..

ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲢᲔᲡᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ?

ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ, �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲔᲣᲗᲝᲠ/ᲝᲓᲘᲠᲘᲡ, ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲥᲕᲡ.

ᲛᲡ�გᲐᲕᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ: **„ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ“**. ᲞᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ: ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲐ, ᲖᲔ�გᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲰᲓᲔᲜᲐ, ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ — ᲔᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲐ.

ᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ?

ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲐᲛᲝᲘᲡᲣᲜᲗᲥᲐ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲐᲠᲚ ᲛᲘᲨᲔᲚᲘᲡ ᲔᲒᲘᲓᲘᲗ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲐᲜᲣᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲔᲜᲓᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲓ, ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ �გᲣᲜᲓᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ 46.7%-ᲛᲐ �გᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘ �გᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐᲓᲐ ᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲘᲡᲣᲜᲗᲥᲐ!

„ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲘᲦᲝ 43%, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲓᲔᲜ ᲨᲐᲠᲚ ᲛᲘᲨᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲗᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ-�პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲜᲔᲮᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘ�გᲜᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲗᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲝᲠᲘᲡ. ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘᲓᲐᲜ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ“, — ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲓᲕᲘᲗ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲙᲕᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ: „ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ, ᲐᲠ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲡ. ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲙᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ გაბატონებული „ᲕᲔᲜᲓᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ“ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲗᲛᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ: ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ, ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ �გᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲘᲙᲚᲔᲑᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘ �გᲐᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕᲘ. ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲯᲐᲛᲔᲗ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲡᲐᲝᲪᲚᲔᲑᲝᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲪᲔᲚᲔᲚᲘᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲐᲡᲔᲗ ᲦᲐᲢᲐᲙ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲜᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ ᲡᲢᲐᲢᲣᲡ ᲙᲕᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ“.

ᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ?

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲯᲔᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲠᲘ�გᲘ ᲣᲑᲜᲔᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐᲗᲕᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲓ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲖᲔᲪ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ �გᲐᲕᲚᲔᲜᲐ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲬᲘᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲔᲑᲘᲐ: 20, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲮᲣᲗ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲐᲘᲠᲩᲔᲕᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ �გᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲪ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲮᲣᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲪ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

„Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ �გᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲘᲡ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ: ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘ, ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ. Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ, ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ“, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ“, — ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ.

ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ“ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲘᲢᲝᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ �გᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲖᲐᲝᲑᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

ᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ?

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ �გᲖᲘᲗ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. **„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲗᲘ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ �გᲖᲘᲗ. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ“.**

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠ ᲐᲥᲪᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ 312 ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲔᲜᲛ-ᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ **„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲔᲚᲛᲐ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ �გᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲐᲜᲝᲜᲡᲘᲐ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲔᲜᲛ-ᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲐᲚᲣᲗᲕᲔᲡ.

ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ, ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲡ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ „ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲐᲡ“ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲘᲛᲞᲣᲚᲡᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ „ᲞᲔᲓᲐᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ“ �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ. ᲐᲛ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲔᲔᲭᲕᲔᲑᲐ, ᲔᲜᲛ-Მ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲢᲐᲚᲦᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝᲡ.

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲖᲔ...

„ᲨᲣᲐ ᲒᲐᲙᲠᲔᲤᲘᲚᲔᲑᲘ“

ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔ

არ დაიჯეროთ, არ დაიჯეროთ!!!

მაინც რატომ არიან ასე გაჯიუტებულები კობახიძე და ღარიბაშვილი...

4 ოქტომბერს, რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი მხარდამჭერების აქცია გაიმართა. მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან აქციაზე, სადაც ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფება, იყო სლოგანი: „თავისუფლება პრეზიდენტ სააკაშვილს“, ასევე ისმოდა სიმღერა „მიშა მაგარია!“ აქციაზე დამონტაჟებული იყო სცენა, საიდანაც პარტიის ლიდერები სიტყვით მიმართავდნენ აქციაზე მყოფ მოქალაქეებს. მათი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია.

ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ ამ აქციებს პერმანენტული და მასშტაბური ხასიათი არ ექნება. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის „ქართული ოცნება“ მიუღებელია, კიდევ უფრო მიუღებელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი.

„ეს აქცია აქტივისტების მიერ იყო გამართული, მაგრამ ისინი პოლიტიკას არ ჰქმიან. აქტივისტები საზოგადოებას „ახურებენ“ და მუხტს სძენენ. თუმცა, თუკი საზოგადოება არ გამოვა, ეს ყველაფერი ჩაფლავდება. თანაც სიცივე დაიწყო, ცალკე ეს პანდემია. მოქალაქეები, რომელმაც ხმა მისცეს „ნაციონალურ მოძრაობას,“ ისინიც კი არ არიან მზად, რომ ქუჩაში გამოვიდნენ. ამიტომ, არ მგონია, რომ ამან მასშტაბური და მასობრივი ხასიათი მიიღოს. რამდენად მიუღებელიც არ უნდა იყოს „ქართული ოცნება,“ კიდევ უფრო მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობა.“ ეს ღონისძიებები ჩაფლავდება, თუმცა, მათ უფლება აქვთ ამის გაკეთების, მოვალეობაც კია, მათი ბელადისთვის გაისარჯონ“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ანალიტიკოსი სხვა სცენარს განიხილავს, რომელიც მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტურის შემდეგ გათამაშდება, კერძოდ: ნოემბერ-დეკემბრის თვეში ხელისუფლებამ სააკაშვილი შესაძლოა უკრაინას გადასცეს, როგორც უკრაინის მოქალაქე.

პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნებისთვის“ წამგებიანია ექსპრეზიდენტის საქართველოს ციხეში ყოფნა. მისივე თქმით, თუ რაიმე აქცია დაიწყება ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს დამძიმებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით იქნება გამოწვეული.

არ მესმის, რატომ არიან ასე გაჯიუტებულები კობახიძე და ღარიბაშვილი. „ქართული ოცნებისთვის“ არამომგებიანია სააკაშვილი აქ ჰყავდეთ წლების განმავლობაში, ციხეში. სხვა ნებისმიერი მოვლენები: პანდემიის მართვა, ეკონომიკური მდგომარეობა, ფასების ზრდა, ლარის კურსის დავარდნა, სიღარიბე, ყველაფერი ეს გამოიწვევს იმას, რომ სააკაშვილის მომხრეები მივლენ სააკაშვილის ციხესთან და დაიწყებენ მის გათავისუფლებაზე ლაპარაკს. ამასთან, მივა ის ხალხიც, ვინც უკმაყოფილო იქნება არა სააკაშვილის ციხეში ყოფნით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. ჯობია, ის გაუშვან, როგორც დამნაშავე, ბორკილებით უკრაინაში. ის ვეღარ მიიღებს პოლიტიკაში მონაწილეობას დიდი ხანი.

სააკაშვილის ჩამოსვლა იყო სიბერის წინააღმდეგ ბრძოლა, ის ეგოისტია და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. მას უნდა გაექცეს სიბერეს. 2024 წლამდე ვერ მოითმენდა, იქამდე საქართველოში დაავიწყდებოდათ. ამიტომ მოუწია ახლა ჩამოსვლა. კი საუბრობს ვადამდელ არჩევნებზე, მაგრამ კარგად ესმის, რომ არ იქნება ეს ვადამდელი. ის გარბის როგორც ფიზიკური სიბერის წინ, ასევე პოლიტიკური სიბერის წინ. ცუდია, რომ პოლიტიკურ ხავსს ასე ებღაუჭება, მისი დრო წავიდა. თუ საქართველოს ციხეში დატოვებენ, მას გაუხანგრძლივებენ პოლიტიკურ ახალგაზრდობას. ივანიშვილი დაურეკავს ღარიბაშვილს და კობახიძეს, ეტყვის, რომ გაუშვან ის უკრაინაში, რაც მოხდება ნოემბერ-დეკემბერში“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე** აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის მსჯავრდებული, იხდის სასჯელს და ამ სასჯელს ის ქართულ საპატიმროში მოიხდის. მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი იყო ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილე და ავტორი, რაც ამ ქვეყანაში მთელი იმ პერიოდის განმავლობაში ხდებოდა, „როცა მისი ხელმძღვანელობით იგეგმებოდა ეს დანაშაულები“.

„რამდენიმე მათგანი სასამართლოს მიერ მტკიცებულებებით არის დადასტურებული, განაჩენი არის დამდგარი, ის არის მსჯავრდებული, იხდის სასჯელს და ამ სასჯელს ის მოიხდის ქართულ საპატიმროში. ქართული მართლმსაჯულება არავის დევნის, თუ მას არ აქვს კონკრეტული დანაშაული ჩადენილი. მიხეილ სააკაშვილს ჩადენილი დანაშაულებიდან ზოგზე აქვს მსჯავრი უკვე დადებული, ის არ არის განსასჯელი, ის არის მსჯავრდებული, მისჯილი აქვს და სასჯელს ამისთვის იხდის.

ასევე, მას აქვს მიმდინარე საქმეები და სწორედ ამ მიმდინარე საქმეებს დაემატა მის მიერ ჩადენილი ახალი სავარაუდო დანაშაული, რომელსაც ჰქვია საზღვრის უკანონო კვეთა. ამ მიმდინარე დანაშაულებზე ის იქნება ობიექტური მართლმსაჯულების ობიექტი, მისი პერიოდისგან განსხვავებით. მაშინ იყო პოლიტიკური მართლმსაჯულება, ახლა არის მართლმსაჯულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხრივ სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების ობიექტია, მეორე მხრივ მიესაჯა და მოიხდის ამ სასჯელს. რაც შეეხება პოლარიზაციას, პოლარიზაციისთვის მისმა მედიასაშუალებებმა, თავად მან, როცა ასეთი პროვოკაციული ნაბიჯი გადადგა, ყველაფერი გააკეთეს“, — განაცხადა მდინარაძემ.

ნიკო ჩოხელი

ორი დილემა!

სააკაშვილი მუდმივი თავის ტკივილია საქართველოსთვის!

მიშა „თავდადებულის“ საქართველოში შემოპარვამ, რომელსაც მიზანმიმართული ავანტიურის ბეჭედი აზის, არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე — თუ „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მობრუნების შიშით გაცილებით მეტმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი და საკრალური 43-პროცენტიანი ბარიერიც გადაალახვინა, „ნაციონალების“ ყულაბაშიც მეტი ხმა ჩაჩხრიალდა — ერთი სიტყვით, „თავგანწირული“ და დატუსალებული მიშას ფაქტორმა კარგად იმუშავა.

ეს განსაკუთრებით გამოჩნდა საქართველოს მსხვილ ქალაქებში (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი), სადაც მერის არჩევნებში მეორე ტურის აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში. რაც არ უნდა გვიკვირდეს, „ნაციონალებმა“ ისეთ ქალაქებში მოიპოვეს უპირატესობა, რისი თეორიული წარმოდგენაც არ შეიძლებოდა.

რა მოხდება მეორე ტურში: არსებობს თუ არა იმის ალბათობა, რომ რეგიონების მნიშვნელოვან ნაწილს „ნაცები“ დაეპატრონებიან და ამით ადგილობრივი ორგანოების პარალიზებას გამოიწვევენ?!

რა თქმა უნდა, არსებობს! თუ „ოცნებამ“ გახარია ვერ დაითანხმა ან ნაცად ხერხს არ მიმართა და „ნაციონალებით“ დაშინებულთა მობილიზება ვერ მოახერხა.

„მაზაკვალი“ და „მოღალატე“ - მაშველი რგოლი ორივე მონსტრისთვის!

„ოცნების“ მხრიდან **გიორგი გახარიას** გარშემო ატეხილმა წინასაარჩევნო ისტერიამ დაადასტურა, რომ იგი სწორად მოიქცა, როცა კრიტიკულ მომენტში დემონსტრაციულად დატოვა პრემიერ-მინისტრის სავარძელი. აშკარად გაცხადდა: ყოფილი თანაგუნდელები ვერ იტანდნენ მას და მომენტს ეძებდნენ, სარმა გამოედოთ, რომ, როგორც პოლიტიკოსი, საბოლოოდ დაემარხათ!

მე ადრე დავწერე და ახლაც ვიმეორებ: **მისი გადაწყვეტილება კრიტიკულ მომენტში სახელმწიფოს პირველი პირისთვის შეუფერებელი საქციელი იყო - ფაქტიურად, ბრძოლის ველიდან გაქცევის ტოლფასი, მაგრამ, შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საკუთარი თანაგუნდელებისგან მისთვის ხაფანგი მომზადებული ყოფილა და არ იყო გამორიცხული, თანამდებობაზე დარჩენის შემთხვევაში, გახარიაზე შურისძიებით სამოქალაქო დაპირისპირებამდეც კი მივსულიყავით!**

თუმცა, მე ისევ იგივე აზრზე ვარ: წასვლისას კარი მაინც უნდა გამოეჯახუნებინა!..

* * *

თუ ობიექტურად შევაფასებთ, ოთხი თვის წინ დაფუძნებული პარტიისთვის (იგულისხმება პარტია „საქართველოსთვის“) გახარიას შედეგები შთამბეჭდავია, მითუმეტეს, ყოფილი თანაგუნდელებისგან „მაზაკვალისა“ და „მოღალატის“ იარლიყის მიწებების ფონზე.

რაც არ უნდა პრეტენზიები ჰქონდეთ მის ყოფილ თანაგუნდელებს ექს-პრემიერის მიმართ, უდავოა, რომ მეორე ტურში მისი მხარდაჭერა ორივე მხარეს ჰაერივით სჭირდება — **თუ გახარია „ნაციონალებს“ დაუჭერს მხარს, შესაძლოა „ოცნებამ“ სტრატეგიული ქალაქები დაკარგოს, რაც რეგიონებში მუდმივი ქაოსის, საბოლოოდ კი პოლიტიკური კრიზისის წინაპირობა გახდება.** სწორედ ეს კრიზისი მიგვიყვანს ე.წ. ვადამდელ არჩევნებამდე, სადაც „ნაციონალების“ შანსი გაცილებით მეტი იქნება.

ორიოდე დღის წინათ სახელდახელოდ გამართულ ბრიფინგზე გახარიამ



თამაზ მოლაშვილი:

საакაშვილი აღრე რომ გამოუშვან, პირადად მე არ ვაცოცხლებ!

სჯობს, ევდოს ციხეში და დალპეს იქ, სადაც არის!..

„პირდაპირ ვადებ ხელს, რომ ვალერი გრიგალაშვილი და გიგა ბოკერია უშუალოდ მონაწილეობდნენ ჩემს წამებაში. მივმართავ სამართალდამცველ სტრუქტურებს, დაიწყოს გამოძიება და დაიკითხონ ბოკერია და გრიგალაშვილი“, – ეს განცხადება **სულხან მოლაშვილმა** მედიასთან 2013 წლის 23 დეკემბერს გააკეთა. რაც შეეხება **მიხეილ სააკაშვილთან** დაპირისპირებას და კრიტიკას კონტროლის პალატის საქმიანობის შესახებ, როგორც მოლაშვილი აცხადებდა, ამის მიზეზი გახდა ის, რომ შეენიღბათ ყველაფერი, რაც კონტროლის პალატამ გააკეთა. მაშინ მოლაშვილი აცხადებდა, ამ დოკუმენტს არც იურიდიული და არც პოლიტიკური აქტუალობა არ დაუკარგავს.

კერძოდ, ეს იყო კონტროლის პალატის მიერ მოპოვებული დოკუმენტები, სადაც ნათლად ჩანდა იუსტიციის სამინისტროში აღმოჩენილი უამრავი დარღვევა. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ იუსტიციის მინისტრი სააკაშვილი გაფუჭებული კონსერვით კვებავდა პატიმრებს, ხოლო იქ გადარიცხული თანხები მათ ჯიბეში მიდიოდა. მაშინ კონტროლის პალატამ მოიპოვა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც, ყველა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან უამრავი ჯართი გავიდა და უკვალოდ გაქრა.

სააკაშვილის მინისტრობისას, იუსტიციის სამინისტროში, ე.წ. ალაფურშეტებში იხარჯებოდა ასტრონომიული თანხები და სამინისტრო ამ თანხების ჩამოწერას ახდენდა. გარდა ამისა, სააკაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარედ მუშაობის დროს, საკრებულოს ბიუჯეტის ხარჯზე ასიათასობით ლარი გადაირიცხა მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინდელი ოპოზიციური ხუთჯვრიანი დროშები დაემზადებინათ და ის ყველა გამვლელს ჰქონოდა. სწორედ აქედან დაიწყო სულხან მოლაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირება. ხელისუფლების ცვლილებიდან ძალიან მალე, სააკაშვილის ბრძანებით სულხან მოლაშვილი დააკავეს, მას ჩამოართვეს ქონება, პატიმარი კი სასტიკად აწამეს.

სულხან მოლაშვილის მამა **თამაზ მოლაშვილი** აცხადებს, რომ ექსპრეზიდენტი, რომლის ბრძანებითაც მოხდა მისი შვილის წამება, უნდა გასამართლდეს საქართველოს კანონმდებლობით.

– მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია. მხარდამჭერებმა საპროტესტო აქცია გამართეს მოთხვნით – განთავისუფლდეს „პოლიტპატიმარი“ მიხეილ სააკაშვილი. საინტერესოა, რას ფიქრობთ, სრულად მოიხდის სააკაშვილი სასჯელს ქართულ ციხეში?

თამაზ მოლაშვილი: 2006 წელს, როდესაც სულხანი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო, ყოველდღე მიმქონდა გაზეთები და მერე მივდიოდი სამსახურში. „მოვიდა ფოსტალიონიო“ – ხუმრობდნენ. დიდი ხანი მიწევდა რიგში ყოფნა და მაშინ ვთქვი – სულხანი აქ რომ აღარ იქნება, კიდევ მომიწევს მოსვლა. მიშა სააკაშვილს რომ დაიჭერენ და პატიმარი იქნება, 40 დღის განმავლობაში გაზეთები უნდა მოვუტანა-მეთქი. ვფიცავ სულხანის სახელს, კვირაში ერთხელ 40 დღის განმავლობაში, მიშა სააკაშვილს შევუგზავნი გაზეთ „ასავალ-დასავალს“ რომ ისიამოვნოს.

აი, ის პიროვნებები, ვინც სააკაშვილს მხარს უჭერენ, ჩემი აზრით, ან მოძრთამულები არიან, ან დეგენერატები. საღად მოაზროვნე ადამიანი როგორ შეიძლება სააკაშვილის გვერდით იდგეს?! ნუთუ არ კითხულობენ გაზეთებს? ნუთუ არ იციან ის, რაც მიშა სააკაშვილმა ხალხს მოსწია - როგორ დაახოცვინა ადამიანები? როგორ გააუპატიურებინა ქართველი კაცები? როგორ წაართვა ხალხს ქონება?

ასეთი პიროვნების გვერდში რომ დგახარ, მაშინ შენ იმაზე მეტი გათახსირებული ხარ. ის პიროვნება, ვინც მიშა სააკაშვილს გვერდში დაუდგება, მასზე უარესია. ასეთი ხალხი საქართველოში არ უნდა ცხოვრობდეს. თუ ადამიანს წაკითხული აქვს, ამ ადამიანმა რამხელა დანაშაული ჩაიდინა ქვეყნის წინაშე, როგორ შეიძლება მას პოლიტპატიმარი უწოდო?! სააკაშვილი არის ბოროტების მაშხალა, სისხლისმსმელი - როგორ უსამართლოდ ეძცეოდა საკუთარ ხალხს!

– სააკაშვილი არ არის საქართველოს მოქალაქე და, როგორ ფიქრობთ, მოხდება მისი ექსტრადირება უკრაინაში? სულხან მოლაშვილი ღიად ამბობდა, რომ მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ორგანიზებული იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ. სულხანი რომ ნაწამები იყო, ეს იცოდა სააკაშვილმა...

– სულხანის ნაწამები სურათები მიჰქონდათ სააკაშვილთან და ტკბებოდა ჩემი შვილის ნაწამები სურათებით! ადამიანი, რომელიც ძალადობისგან სიამოვნებას იღებს, როგორ შეიძლება ქვეყანაზე დადიოდეს?! ასეთ ადამიანს ექიმიც ვერ უშველის.

მივმართავ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს – ბატონო პრემიერო, ვაჟკაცურად დადექით, სააკაშვილი გასამართლეთ საქართველოში!

რატომ უნდა გადასცეს უკრაინას, როცა აქ, საქართველოში აქვს დანაშაული ჩადენილი! სულ არ მაინტერესებს, რომ უკრაინის მოქალაქეა. როდესაც საქართველოს მოქალაქე იყო, სისხლის სამართლის მრავალი კოდექსის მიხედვით აქვს დანაშაული ჩადენილი და აქ უნდა გასამართლდეს. მთელმა ევროპამ და ამერიკამ გაიგოს, რომ მიშა სააკაშვილი უნდა დალპეს ციხეში.

– თქვენი შვილის წამების საქმეში იკვეთება სააკაშვილის ბრალეულობა?

– სულხანს ბოკერიამ შემოუთვალა, რომ უნდა დაგიჭიროთო! იმ დღეს სულხანი მივიდა უწმინდესთან და უთხრა რაშიც იყო საქმე. მერე მივიდა გენერალურ პროკურორთან ირაკლი ოქრუაშვილთან და უთხრა – აგერ ვარ და მითხარით, რა გინდათო. ოქრუაშვილმა უთხრა, რომ ქალაქის პროკურორთან ვალერი გრიგალაშვილთან მიდიო. უვიცი ადამიანი დაიჯერებს, მაგრამ იურისტი არა – კონტროლის პალატის თავმჯდომარის დაკავებას გრიგალაშვილი ვერ გადაწყვეტდა. ეს უნდა გაეკეთებინა ოქრუაშვილს, რომელმაც მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას სულხან მოლაშვილის დაკავების შესახებ. ირაკლი ოქრუაშვილს ადრეც ვუთხარი და ახლაც ვეუბნები – თუ კაცია, თვალებში შემომხედოს და მაჩვენოს ის დასკვნა, რაზეც ხელი მოაწერა! იცით, რას მოაწერა ხელი? – სულხან მოლაშვილმა 37 ათასი ლარის პრემია დაურიგა თავის თანამშრომლებსო. ამ ბრალდებით დააკავეს. ოქრუაშვილისგან კაცობას არავინ ელოდა, მაგრამ ხომ იცოდა, რომ პრემიის გაცემაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარეს არ იჭერდნენ.

სულხანის დაკავებაზე რომ ხელი არ მოეწერა, კაცად დარჩებოდა, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილი არის ჩვარი, სააკაშვილის მონა-მორჩილი, რომელმაც გამოიყენა და მერე გააგდო. როდესაც სულხან მოლაშვილს C ჰეპატიტი დაუდგინდა, 11 თვის განმავლობაში არ უმკურნალეს. ექიმმა როდესაც ერთი ამბავი ატეხა, უთხრეს, რომ არ თქვა, თორემ ზემოთ გაბრაზდებიანო და ზემოთ ვინ იყო? – რა თქმა უნდა, სააკაშვილი. სააკაშვილი ამბობდა, რომ არ უნდა ემკურნალათ. სააკაშვილი გასცემდა დავალებას და ბოკერია მოქმედებდა. ნამდვილად ვიცი, როდესაც სულხანის ნაწამები სურათები მიუტანეს, სიამოვნებას განიცდიდა ეგ შობელძაღლი.

– სულხან მოლაშვილის წამება მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებით მოხდა?

– რა თქმა უნდა. სააკაშვილი იყო მთავარი. მისი დავალებით მოქმედებდა ბოკერია, ოქრუაშვილი და ადეიშვილი. პარლამენტის შენობის წინ კარვები იყო გაშლილი, სადაც ეკიდათ სააკაშვილის სურათი. მაშინ მივედი მაჩალიკაშვილთან და ვუთხარი: მე რომ გაგიგებ, სხვა ვერ გაგიგებს. შენც მოგიკლეს შვილი და მეც, ამიტომ შენც უნდა გამიგო. შენი შვილის მკვლელის სურათი ჩამოვიკიდო და ვიძახო, რომ უდანაშაულოა, გაგიხარდება?

სააკაშვილმა, აი, ამ კაცმა შვილი მომიკლა, შენ რომ მაგის სურათს აფრიალებ რუსთაველზე, ეს მე ძალიან მწყინს და მაწუხებს-თქო, – ხმა არ გაუღია, არაფერი არ უთქვამს.

მიშა სააკაშვილი არის უბოროტესი ადამიანი. სულხანი მან მოკლა! არავითარ შემთხვევაში ხელისუფლებამ ეს მკვლელი არ უნდა გადასცეს უკრაინას. დამიჯერეთ, ეგ რომ ადრე გამოუშვან, პირადად მე არ ვაცოცხლებ, მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგი ვარ. ამიტომ, ჯობია ეგდოს ციხეში და დალპეს იქ, სადაც არის!..

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ხაზგასმით განაცხადა, **რომ იგი მხარს არ დაუჭერს ერთპარტიული მმართველობის არსებობას ქვეყანაში, რაც იმას ნიშნავს, რომ „ოცნებას“ მისი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს!**

სხვა რა კოზირი აქვს **„ქართულ ოცნებას“,** რომ რეგიონებშიც შეინარჩუნოს პირველობა? არის ეს კოზირი, რომელსაც 2012 წლის შემდეგ ყველა არჩევნებში იყენებდა და იყენებს: **„თუ მე არ დამიჭერთ მხარს, „ნაციონალების“ სახით ფაშისტური რეჟიმი დაბრუნდება ხელისუფლებაში და მერე საკუთარ თავს დააბრალეთო“!**

ანუ, ისევ ხალხის „ბუათი“ დაშინება, რომელიც ორივე პოლიტიკურ მონსტრს კვებავს და სტატუს-კვოს შენარჩუნებაში ეხმარება!

რა უნდა ქნას ხალხმა?!

საზოგადოების მზრიდან „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების ხელშეწყობა, ერთი შეხედვით, ხარაკირის ტოლფასი იქნება. თუმცა, ასე გაგრძელებაც რომ არ შეიძლება, ფაქტია.

ჩვენ რამდენი წელია „ქოც-ნაცური“ ბალ-მასკარადის არა მარტო პასიური მაყურებელი, არამედ, ხელშემწყობიც გავხდით – **ივანიშვილისეულმა „შუა გაკრეფის“ პოლიტიკამ თავისი ქნა და ორპოლუსიანი სისტემა ჩამოაყალიბა, სადაც სხვა პოლიტიკური ძალები მხოლოდ ჭანჭიკის როლს ასრულებენ!**

ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ამ ორი პოლიტიკური მონსტრის ფორმალურ ძიძგილაობას საქართველოს მომავალი ეწირება, მაგრამ არაფერს აკეთებს ალტერნატიული პოლიტიკური სუბიექტის შესაქმნელად. წინა რეჟიმის შიშით, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ მოვალეობად „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას მიიჩნევს, რაც ავტომატურად „ნაციონალების“ ხელისუფლებაში არდაბრუნებას ნიშნავს!

ე.წ. „შუაშისტები“, რომლებსაც არც „ნაცები“ უნდათ და არც „ქოცები“, გულხელდაკრეფილნი არიან და ზეციურ წყალობას ელოდებიან – არადა, მათ იციან, რომ თუ გამოსაშვებ სისხლს დროულად არ გამოუშვებენ და ყველაფერს საკუთარ სახელს არ დაარქმევენ, დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ამ მოჯადოებული წრიდან გამოსავალი არ იქნება!

აქედან გამომდინარე, რა უნდა ქნას იმ ამომრჩეველმა, რომელსაც 2 ოქტომბერს მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია?!

რაც არ უნდა მწარედ ნათქვამად მოგეჩვენოთ, თუ გვინდა გარდატეხა შევიტანოთ არსებულ პოლიტიკურ ბაკქანალიაში, თვითდინებაზე უნდა მივუშვათ პროცესები, თუნდაც ამან ადგილებზე „ნაციონალების“ აღზევებას შეუწყოს ხელი. ამის შემდეგ მაინც ვიგრძნობთ რეალურ საშიშროებას და ხელებსაც დავიკაპიწებთ.

დიახ, გამოსაშვები სისხლი თუ არ გამოვუშვით, იგი აუცილებლად დალპება ჩვენთან ერთად და ქვეყანასაც გადავიყოლებთ! უდავოა, რომ მსხვილი ქალაქების „ნაციონალების“ ხელში გადასვლის შემთხვევაში, აუცილებლად მივალთ პოლიტიკურ კრიზისამდე, რომელსაც მომზადებულნი უნდა შევხვდეთ – **„შუაშისტების“ ძალისხმევით უნდა შეიქმნას მძლავრი პოლიტიკური ერთობა, რომელიც ხელოვნურად დაპირისპირებულ ორივე მონსტრს ბეჭებზე დადებს. მითუმეტეს, ახალი მობილური ძალის გამოჩენის შემთხვევაში, საზოგადოებრივ ერთობას ბევრი დღემდე მერყევიც შემოუერთდება.**

ოღონდ, ხალხის წიაღიდან სპონტანურად აღმოცენებული პოლიტიკური წარმონაქმნი რუსეთიდან, ან ევრო-ამერიკიდან არ უნდა დაფინანსდეს. თუ ეს დავუშვით, მორიგ „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ მივიღებთ (ივანიშვილის ფულიც არ არის ქართული ფული!), რომელიც არსებულ პოლიტიკურ სისტემას ადვილად შეერწყმება.

დასკვნის სახით კი ვიტყვი: **ადამიანი კისერს რომ წაიტეხს, მის მოშუშებაზე ფიქრობს. ჩვენ რამდენჯერმე წავიტეხეთ კისერი, მაგრამ არც „მალამო“ გვიძებნია და არც „ექიმი“, ივანიშვილი კი „ექიმის“ როლს როდემდე შეასრულებს?!**

ზაურ ნაჭყებია

P.S. **სააკაშვილი მუდმივი თავის ტკივილი იქნება საქართველოსთვის. იგი გაცილებით საშიშია აქ, ვიდრე, ქვეყნის საზღვრებს გარეთ. საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა დაგვაიმედა, რომ არ შეიწყალებს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ განაცხადა: 6 წელს დავასვენებთო. უკრაინის პრეზიდეტი ზელენსკი კი საკუთარი მოქალაქის ექსტრადირებას ითხოვს. ისე, მართლაც ხომ არ სჯობს, ავდგეთ და გადავცეთ – მშვიდობაში მოახმაროს!**

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲖᲔ...

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ და ანა დოლიძის მხარდამჭერების ხმები არა არის ის რესურსი, რომელიც თუნდაც ნიკა მელიას მეორე ტურში გამარჯვებაში დაეხმარება.

რაც შეეხება საკრებულოებს და იქ არსებულ სიტუაციას, ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ გახარიამ მკვეთრი მხადაჭერა ან კოალიცია არც ერთ მათგანთან არ უნდა შექმნას. მას როგორც და რაც დასჭირდება პოლიტიკურად, ისე უნდა ითამაშოს. სხვაგვარად მის პოლიტიკურ იდენტობას ამომრჩეველი ვეღარ დაინახავს.

„გახარია, ალბათ, საკრებულოებში სადაც შესაძლებელი იქნება, იქ არც ერთ პოლიტიკურ ძალას, არც „ოცნებას“ და არც ენმ-ს არ აირჩევს. ხოლო კონკრეტული საკითხების მიხედვით შეიძლება ხან მმართველი გუნდის მხარი დაიკაოს, ხანაც ოპოზიციის. სადაც უმრავლესობის ფორმირება ვერ მოხერხდება, გახარია ვითარების მიხედვით იმოქმედებს. ასე ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკურ არჩევანს არ გააკეთებს და ეს ლოგიკური გადაწყვეტილებაა.

გახარიამ 9% იმიტომ აიღო, რომ მას ენმ-ისგან და „ოცნებისგან“ განსხვავებული პოლიტიკური იდენტობა აქვს. დანარჩენ პატარა პარტიებს საერთოდ არანაირი იდენტობა არ გააჩნიათ. მოსახლეობა მათ ენმ-ისგან ვეღარ არჩევს. ეს ამ არჩევნებზეც გამოჩნდა. ამიტომ გახარიამ მხარი რომ ენმ-ს დაუჭიროს, მაშინ ის იმ ელექტორატს დაკარგავს, რომელიც „ოცნებისგან“ წამოიყვანა. ბევრს ის იმიტომ მოსწონს, რომ ამ პარტიას ძალიან ხისტად უდგებოდა. რაც შეეხება „ოცნების“ მხარდაჭერას, მაშინ გამოვა, რომ მართალია და ის „ოცნება 2“-ია, რომელიც ივანიშვილის პროექტია. როგორც კი გახარია რომელიმე მათგანის პოლიტიკურ პოლუსზე მოხვდება, როგორც პოლიტიკოსი მილევას დაიწყებს“, — ამბობს ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის დაბრუნებამ მისი ამომრჩეველი შეაშინა და რაღაცა ნაწილი ისევ „ოცნებისკენ“ გაიქცა. თუმცა მას აქვს პოტენციალი, რომ ეს გარემოება ისევ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს. მოსახლეობას დაანახოს, რომ ამ პორალიზებულ პოლიტიკურ გარემოში ის ერთადერთი პოლიტიკოსია, ვისაც ორპოლუსიანი პოლიტიკის დასრულება შეუძლია.

„გახარიამ არჩევნების შემდეგ ის კურსი უნდა გააგრძელოს, რომელიც აღებული აქვს. როგორც უკვე აღვნიშნე, მან საკუთარი იდენტობა არ უნდა დაკარგოს და საზოგადოებას რაღაცა განსხვავებული უნდა შესთავაზოს. ყველანაირად უნდა ერიდოს, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებული არ იყოს. საზოგადოებას არსებული ოპოზიციისგან განსხვავებული სტილი მანერა და მესიჯები უნდა შესთავაზოს. შესაძლოა გახარიას ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდე, მაგრამ არსებული პოლიტიკური სპექტრისგან ის განსხვავებულს სთავაზობს. მოსახლეობის თვალით ახლა ეს პატარა პარტიები ენმ-ის მსგავსი ოღონდ სხვადასხვა ვარიანტების პარტიები არიან. გახარია თუ ახლა დაარწმუნებს გულგატეხილ ამომრჩეველს, რომ ისაა ყველა სხვა პოლიტიკური ძალისგან განსხვავებული და არჩევნების დღეს სახლში არ უნდა დარჩნენ, რეიტინგს კიდევ უფრო გაიზრდის. რაც შეეხება პატარა პარტიებთან ალიანსს, მგონია მას ისინი არაფერში სჭირდება. პირიქით, უფრო დააზიანებენ და არანაირ რეიტინგს არ მოუტანენ“.

პოლიტოლოგი **რამაზ სამᲫᲕარᲔᲚᲘᲫᲔ** კი იმ მიზეზებზე საუბრობს, რისთვისაც გახარიას პარტია ორივე ძალასთან კოალიციაზე უარს ამბობს. საყვარელიძე დარწმუნებულია, რომ რაც არ უნდა მოხდეს, გახარია თავის ამომრჩეველთან პასუხისმგებლობის გამო, „ნაციმოძრაობასთან“ კოალიციას არ შეკრავს, რადგან ამომრჩევლის დიდმა ნაწილმა მას ხმა მისცა, როგორც ადამიანს, რომელიც „ენმ“-ს დაემუქრა — მე თქვენ დაგამთავრებთო.

„მისი ხისტი პოზიციონირება „ნაციონალებთან“ გახარიას ერთ-ერთი პლუსია, რითაც „ოცნებას“ ელექტორატის ნაწილი წაართვა, ამიტომ ის საკუთარ პოლიტიკურ მომავალს არ გაანადგურებს. ეს კარგად ესმის და იმ წითელ ხაზს არ აბიჯებს, რომელიც დაღუპავს. რაც შეეხება „ოცნებასთან“ კოალიციას, ამ შემთხვევაში მას ეშინია, რომ „ოცნება-2“ ხარ არ დაუძახონ, რასაც დღეს, მაგალითად, „ნაცმოძრაობა“ აკეთებს. თუმცა, თუ მაინც საქმე ასარჩევად ექნება, გახარიასთვის ამ ორ არასახარბიელო ვარიანტში მე მაინც მგონია, რომ ნაკლები უბედურება „ოცნებასთან“ ალიანსი იქნება. მისი ამომრჩეველი მაინც მმართველი გუნდის ყოფილი ელექტორატია და ამას ასე მწვავედ არ მიიღებს“.

მისივე თქმით, არც ისაა გამორიცხული, რომ საერთოდ კოალიციაზე უარი თქვას. ასეთ შემთხვევაში კი, საკრებულოებში გადაწყვეტილებების მიღება მოხდება კონკრეტული საკითხების მიხედვით. რაღაც საკითხში ვინც ერთმანეთს ეთანხმება, უმრავლესობას ისინი შექმნიან, სხვა საკითხში სხვანაირი კონფიგურაცია იქნება. ანუ სტაბილური უმრავლესობა კი არ იქნება, იქნება უმრავლესობა, რომელიც შეიქმნება სიტუაციის მიხედვით. თუმცა, თუკი კოალიციის არარსებობის გამო საკრებულოებში კრიზისი გაჩნდა, შესაძლოა, კონკრეტულ ქალაქში ახალი არჩევნები დაინიშნოს, სადაც დიდი ალბათობით დეპუტატების ძველი შემადგენლობა აღარ იქნება. ეს კი ახლანდელ დეპუტატებს არ აწყობთ და ამიტომ საყვარელიძის ვარაუდით, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობაზე დათანხმდებიან.

„თუ გახარიამ ამ ზეწოლას გაუძლო და ის არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან კოალიციაში არ შევიდა და არც მეორე ტურში ღია მხარდაჭერა არავის მიმართ არ გამოხატა, ის თავის გადარჩენას შეძლებს. თუ ცდუნებას ვერ გაუძლო, მაშინ იმ 9%-საც დაკარგავს, რაც აიღო. მას კარგი შანსი აქვს, რომ თავისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის საჭიროება საზოგადოებას დაანახოს. თუმცა მისი ამომრჩეველი მაინც მეორე ტურში მხარს „ოცნების“ კანდიდატებს დაუჭერს. მელია თბილისში მეტი ამომრჩევლის მობილიზებას ვეღარ შეძლებს. კალაძეს კი გახარიას ხმებიც მიემატება და მობილიზებული ამომრჩეველიც, რომელსაც ენმ-ის ხელისუფლებაში დაბრუნების ყველაზე მეტად ეშინია. ასევე „ოცნების“ ბალანსზე ადმინისტრაციული რესურსიც არის. ამიტომ ოპოზიციის სიხარული, რომ არჩევნები მოიგო, ნაადრევია“, — ამბობს საყვარელიძე.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ — ᲙᲐᲠᲬᲐᲮᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ“ 383 ᲛᲚᲜ. ᲚᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲖᲔᲐ, — ᲠᲐᲢᲝᲛ?

2020 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲛᲣᲠᲛᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲛᲐ 1.043 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲓᲐ ᲚᲝ�გᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲔᲜ „ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ — ᲙᲐᲠᲬᲐᲮᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐᲖᲔ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ 383 ᲛᲚᲜ. ᲚᲐᲠᲘᲐ, ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲛᲣᲠᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ 37%. ᲐᲛᲐᲕᲔ 2020 ᲬᲔᲚᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘ“ ᲖᲐᲠᲐᲚᲛᲐ 156 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ 16%.

ფაქტობრივად, ორი უმსხვილესი სახელმწიფო საწარმოს, „საქართველოს რკინიგზისა“ და „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“, ჯამური ზარალი 539 მლნ ლარს უტოლდება, რაც სახელმწიფო საწარმოების ჯამური ზარალის ნახევარზე მეტს, 52%-ს, შეადგენს.

„საქართველოს რკინიგზისა“ და „მარაბდა-კარწახის“ ძირითადი დანიშნულება სატრანზიტო ნაკადების მოზიდვა და გატარებაა, რაც მსოფლიო პრაქტიკით ერთ-ერთ მაღალშემოსავლიან სექტორადაა მიჩნეული, საქართველოში კი ის წამგებიანია. „კომერსანტი“ „სატრანსპორტო კვლევის ცენტრის“ პრეზიდენტთან **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲗᲗᲐᲜ** შეეცადა გაერკვია, რატომ უნდა აწვებოდეს სახელმწიფოს დამატებით ტვირთად ორი ძირითადი საწარმო, რომლებიც, წესით, ქვეყნის ბიუჯეტში სოლიდური ფინანსური ნაკადის მაგენერირებელი უნდა იყოს. ექსპერტი მიზეზთა შორის, პირველ რიგში, ასახელებს ამ საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოების ხელმძღვანელობის არაეფექტურობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს „მარაბდა-კარწახის რკინიგზაზე“, რომლის ზარალის ერთ-ერთ მიზეზად ცაგარეიშვილი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ 5 წელია რკინიგზა სატესტო რეჟიმში მუშაობს, რაც ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის უპრეცედენტოდ დიდი დროა.

„ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲛᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲯᲐᲛᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 800 ᲛᲚᲜ. ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲮᲡᲮᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲛ, ᲗᲣ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 2020 ᲬᲔᲚᲡ, ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ 383 ᲛᲚᲜ. ᲚᲐᲠᲘ (125 ᲛᲚᲜ.ᲓᲝᲚᲐᲠᲘ), ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ 15% ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲗᲣ �გᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲬᲘᲜᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ ᲛᲝᲖᲘᲓᲣᲚ ᲛᲘᲖᲔᲠᲣᲚ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲜᲐᲙᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ (ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝᲓ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 8-10%), ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲙᲕᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲜᲐᲙᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲓᲔᲑᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ-ᲙᲐᲠᲬᲐᲮᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲒᲖᲐ 2017 ᲬᲔᲚᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝᲓ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲪ ᲡᲐᲢᲔᲡᲢᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲕᲐᲓᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲜᲝᲜᲡᲔᲜᲡᲘᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ,“ — ეუბნება „კომერსანტს“ სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი და იქვე მეორე მიზეზსაც გვისახელებს.

ცაგარეიშვილი ამტკიცებს, რომ ამჟამად საქართველოს მთავრობას ამ სარკინიგზო ხაზისადმი აქვს ინერტული დამოკიდებულება, ეს მაშინ, როცა აზერბაიჯანი და თურქეთი აქტიურად ცდილობენ მათ სასარგებლოდ გაზარდონ ტვირთნაკადი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალზე, რომლის ქართულ მონაკვეთს წარმოადგენს სწორედ მარაბდა-კარწახის ხაზი. შესაბამისად ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ანგარიშვალდებულების უგულებელყოფაში უნდა ვეძებოთ „მარაბდა-კარწახის“ სახელმწიფო საწარმოში დაგროვილი კოლოსალური ზარალის მიზეზები.

„ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲘ �გᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲢᲝᲠᲐᲓ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲐ, ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲘᲓᲐᲓ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ. ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ, ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ — ᲙᲐᲠᲬᲐᲮᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ, ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ, ᲐᲠ ᲛᲝᲘᲫᲘᲔᲑᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲣᲚᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲢᲐᲠᲘᲤᲝ ᲑᲐᲓᲔ, ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘ�ნᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲡᲐᲢᲔᲡᲢᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ. �გᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ, ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ. ᲐᲑᲡᲣᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ, ᲤᲣᲜᲥᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲫᲔᲑᲝᲗ, ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ-ᲙᲐᲠᲬᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ ᲓᲐ�გᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ.“ — განუმარტა ცაგარეიშვილმა კომერსანტს

ᲒᲔᲚᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲮᲐᲠ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ“...

ᲘᲠᲛᲐ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ - 80

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲓᲘᲥᲢᲝᲠᲡ-ᲢᲔᲚᲔᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕ **ᲘᲠᲛᲐ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲡ** 80 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ. ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ:

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲘᲠᲛᲐ!
ᲩᲕᲔᲜᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲐᲕ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲒᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲭᲗᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ — ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ 65 ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲒᲘᲪᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲓᲘᲥᲢᲝᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲡ. ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲗᲣ ᲢᲔᲚᲔᲚᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲜᲔᲗᲝᲗ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ — ᲠᲔᲑᲔᲙᲐᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ „ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲠᲔᲑᲔᲙᲐ“ ᲒᲐᲮᲓᲘᲗ.ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲔᲡᲛᲐ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲔᲠᲘᲐᲜ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲨᲘ „ᲗᲔᲡᲔᲐ“. ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠ „ᲠᲔᲠᲝᲡ“ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ-ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘᲪ. ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲘᲗ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔ ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘᲗ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲐᲕᲔᲗᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲭᲘᲓᲠᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲓᲘᲥᲢᲝᲠᲘ ᲑᲠᲓᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ — ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ �გᲐᲮᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ. ᲢᲔᲚᲔᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ-ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲣᲙᲐᲜ ᲭᲠᲩᲔᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲗ ᲒᲔᲙᲣ�თᲕᲜᲘᲗ ᲕᲘᲓᲔᲝ ᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲝᲤᲘᲚᲛᲘ „ᲒᲐᲜᲓᲝᲑᲐ“. ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲐ“ ᲓᲐ ᲕᲘᲓᲔᲝᲤᲘᲚᲛᲘ „ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲒᲘᲪᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲓᲘᲥᲢᲝᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲡ. ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲗᲣ ᲢᲔᲚᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜ ᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲙᲠᲐᲜᲤᲘᲚᲨᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲜᲔᲗᲝᲗ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ „ᲙᲣᲙᲐᲠᲐᲩᲐ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ — ᲠᲔᲑᲔᲙᲐᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ „ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲠᲔᲑᲔᲙᲐ“ ᲒᲐᲮᲓᲘᲗ.ᲘᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲔᲡᲛᲐ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲔᲠᲘᲐᲜ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲨᲘ „ᲗᲔᲡᲔᲐ“. ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠ „ᲠᲔᲠᲝᲡ“ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ-ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘᲪ. ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲘᲗ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔ ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘᲗ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲐᲕᲔᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ „ᲩᲣᲛᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ,“ „ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲩᲐᲬᲕᲓᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲥᲛᲐᲡ“, ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲕ ᲩᲔᲛᲝ.“ ᲐᲛ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲤᲐᲥᲘᲖᲘᲗ, ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲣᲠᲝᲑᲘᲗ, ᲕᲔᲠᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ ᲓᲐᲔᲮᲔᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲕᲘᲗ, ᲣᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲡ, ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲝᲑᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲪᲥᲔᲠᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲙᲠᲣᲚ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲜᲐᲚᲝᲚᲘᲐᲕᲔᲑ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲝᲑᲡ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲧᲐᲧᲐᲩᲝᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲔᲑᲜᲘᲝᲡ ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲡᲐ ᲗᲣ ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲛ ᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣᲚ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ, ᲔᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲪ ᲮᲔᲚᲔᲬᲘᲤᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲘᲬᲕᲘᲡ Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲒᲔᲚᲐᲗᲘ ᲗᲔᲗᲠᲐᲓ... ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐᲐ, ᲗᲣ ᲖᲛᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲣᲠᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ. ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲖᲔ 70-ᲛᲓᲔ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲖᲐ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲖᲔᲪ ᲨᲔᲒᲘᲥᲛᲜᲘᲐᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ „ᲠᲐ ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ“ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲕᲐᲖ ᲚᲐᲦᲘᲫᲘᲡ ᲐᲙᲐᲞᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲛᲐ. ᲔᲡᲔᲜᲘᲐ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ,“ „ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘ“, „ᲭᲐᲦᲐᲠᲐ“, „ᲮᲐᲠ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ“, „ᲘᲡᲔᲕ ᲥᲐᲠᲘ ᲬᲐᲘᲦᲔᲑᲡ“, „ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲩᲐᲬᲕᲓᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲥᲛᲐᲡ“, „ᲣᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲡᲔᲕᲓᲐ“, „ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲪᲓᲘᲡ, ᲐᲠᲐ“, „ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ“, „ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ“, „ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲐᲛ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲛᲦᲔᲠᲘᲐᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘᲪ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲜᲝ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ!“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲘᲚᲘᲐ II-Ს ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲕᲔ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ — „ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ.“

ᲕᲐᲡᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ, ᲑᲔᲠᲢᲠᲝᲚᲓ ᲑᲠᲔᲮᲢᲘᲡ „ᲡᲐᲛᲒᲠᲝᲨᲘᲐᲜᲘ ᲝᲞᲔᲠᲐ“ — ᲡᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲠᲔᲢᲝᲔᲑᲘᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲕᲔ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲘᲑᲠᲔᲢᲝᲔᲑᲘᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲗ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲒᲝᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ „ᲝᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ“ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲠᲔᲢᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲔᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲙ-ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ „ᲗᲐᲕᲤᲐᲠᲐᲕᲜᲔᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲓᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲛ, ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲗ ᲓᲐᲒᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐᲗ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ ᲑᲔᲜᲯᲐᲛᲘᲜ ᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲘᲓ Ვ. ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ. „ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲑᲔᲜᲯᲐᲛᲘᲜ ᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲘᲓ Ვ. ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ „ᲐᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲙᲐᲢᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, — ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ



ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ!

ᲒᲘᲫᲦᲕᲜᲘᲗ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 75 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲐᲠᲬᲘᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲤᲠᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲛᲛᲐᲢᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲛᲐ.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ:
1. ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ;
2. ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ;
3. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲨᲐᲜᲐᲘ ᲑᲠᲣᲙᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲐᲜᲐᲘ ᲑᲠᲣᲙᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ. ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲧᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲮᲓᲘᲡ.

„ᲨᲐᲜᲐᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲒᲝ�გᲝᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲚᲐᲓ ᲢᲠᲐ�გᲘ�კᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ.

მᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲒᲣᲚᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲒᲕᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲐᲜᲐᲘᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲑᲔᲕᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ.

ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ �პᲝᲖᲘᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲨᲐᲜᲐᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲘᲓ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐ�გᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ.

ᲨᲐᲜᲐᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ წᲣᲗᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ.

ᲒᲕᲡᲣᲠᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝᲗ ᲨᲐᲜᲐᲘᲡ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲨᲐᲜᲐᲘᲡ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲛᲐᲚᲕᲔ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘ ᲐᲢᲔᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲬᲘᲔᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲨᲐᲜᲐᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲐᲕᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲨᲐᲜᲐᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲮᲓᲘᲗ ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲚᲐᲕᲘ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲘᲛ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ �გᲐᲫᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

მᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ თᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ მᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ მᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲨᲐᲜᲐᲘ ᲑᲠᲣᲙᲘ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐᲠᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲐᲜᲐᲘ ᲑᲠᲣᲙᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲔᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲡ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐᲖᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲜᲔᲜ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲖᲔ 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ.

ᲨᲡᲨ-ᲛᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲨᲐᲜᲐᲘ ᲑᲠᲣᲙᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ 8 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚ 33 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲛᲣᲠᲡᲐᲙᲣᲚᲝᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲤᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ: ᲩᲘᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲩᲜᲓᲔᲗ

„ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲐᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲩᲘᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲩᲜᲓᲔᲗ. ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲐᲡ �პᲐᲢᲘᲕᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲡᲪᲔᲛᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ „ᲗᲐᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲔ �გᲐᲮᲓᲜᲔᲜ. 85 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐᲕᲢᲝᲕᲔᲗ. ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ ᲓᲔᲛᲝ�კᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ �გᲐᲛᲝᲡᲓᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ქᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲡᲯᲝᲑᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲕᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲗ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡᲛᲐ.

ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲘ: ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲯᲔᲠᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ POLITICO-Ს ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲐᲠᲘᲡ თᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ, ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲛᲐ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ:

ᲕᲜᲐᲮᲝᲗ. ᲛᲔ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲯᲔᲠᲐ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲡᲔᲐ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲐᲦᲥᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ, �თᲣ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ.

15 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲨᲨ-ᲛᲐ, ᲓᲘᲓᲛᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲛ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ �გᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲨᲨ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲛᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ ᲖᲣᲠᲒᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. 2016 ᲬᲔᲚᲡ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲛ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Naval Group-ᲘᲡ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲤᲚᲝᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲔᲨᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ. ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ღᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ 40 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ.

ᲜᲐᲢᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲠᲣᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ

„ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝᲓ, ᲜᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲝᲡ. 8 ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲘᲐᲜ, ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ Sky News-ᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ, ᲓᲔᲑᲝᲠᲐ ᲰᲔᲘᲜᲡᲛᲐ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ, ᲰᲔᲚᲔ ᲢᲝᲠᲜᲘᲜᲒ-ᲨᲛᲘᲓᲢᲛᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲯᲘᲡᲙᲐᲠ დ'ᲔᲡᲢᲔᲜᲘ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐ. ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲯᲘᲡᲙᲐᲠ დ'ᲔᲡᲢᲔᲜᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ წᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

ᲰᲔᲚᲔ ᲢᲝᲠᲜᲘᲜᲒ-ᲨᲛᲘᲓᲢᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐ�გᲔᲜᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ ᲕᲐᲮᲨᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ 2002 ᲐᲜ 2003 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ.

„ᲯᲘᲙᲐᲠᲓ დ'ᲔᲡᲢᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲘᲯᲓᲐ, ᲛᲐ�გᲘᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲑᲐᲠᲫᲐᲧᲖᲔ ᲛᲐᲭᲔᲠᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ. ᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲒᲘᲟᲔ ᲘᲧᲝ. ᲛᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲘ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲕᲘᲪᲕᲐᲚᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲐᲦᲕᲘᲥᲕᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝ ᲟᲔᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ �გᲐᲛᲐᲑᲠᲐᲖᲐ,“ — �წᲔᲠᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ �თᲐᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ. ᲰᲔᲚᲔ ᲢᲝᲠᲜᲘᲜᲒ-ᲨᲛᲘᲓᲢᲘ 1966 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲒᲘ 2005-15 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲮᲝᲚᲝ 2011-15 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ — ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲟᲘᲡᲙᲐᲠ-დ'ᲔᲡᲢᲔᲜᲘ (1926-2020) — ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲦᲕᲐ�წᲔ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ 1974-1981 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ. 2001-04 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲣᲜᲓ



ვოლფ მესინგი:
„როცა სხვის აზრებს ვკითხულობ...“

ყველაზე რთულია ჩემთვის უშუალო შემეცნების ახსნა. ყველას ახსნა, რის შესახებაც მანამდე ვწერდი, ჩემთვის, მატერიალისტისთვის, მართალია არა დაწვრილებით, მაგრამ მაინც საკმარისად მკაფიოდ შემიძლია. ახლა კი ისეთ მოვლენათა ჯგუფის აღწერაზე უნდა გადავიდე, რომელთა მკაფიო ახსნა ჩემს ძალებს აღემატება. მეტიც: მათი მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ახსნაც არ შემიძლია. მაგრამ, მათთვის სრულიად გვერდის ავლაც არაფრით არ შემიძლია. ლაპარაკია თავად ჩემთვის გასაოცარ უნარზე. დავიწყებ ფაქტებით.

ერთხელ, ჯერ კიდევ 30-იან წლებში, პოლონეთში, ახალგაზრდა ქალმა თავისი ამერიკაში წასული ძმის სურათი მომიტანა, რომლისგან წლების მანძილზე ცნობა არ მიუღია. ფოტოს რომ დავხედე, ეს ახალგაზრდა კარგად ჩაცმული, კმაყოფილი სახით — თითქოს იქიდან გადმოვიდა.

— დღეიდან მოყოლებული მე-13 დღეს თქვენ ძმისგან წერილს მიიღებთ-მეთქი, — ვუთხარი ქალს.

მან ეს ამბავი მეზობლებს მოუყვა, ქალაქში ჭორი დაირხა, რომელმაც ჟურნალისტების ყურამდეც მიაღწია. დაიწყო კამათი: მართალი თქვა მესინგმა თუ არა? მოკლედ, მე-13 დღეს ამ ქალის სახლთან თითქმის ყველა პოლონური გაზეთის კორესპონდენტმა მოიყარა თავი. შორეული ფილადელფიიდან წერილი საღამოს მატარებლით ჩამოვიდა... ამის შესახებ პოლონეთის ყველა გაზეთმა დაწერა.

ბარემ მეორე შემთხვევასაც გავიხსენებ: ერთ-ერთ რედაქციაში შეხვედრის შემდეგ, ვიწრო წრეში კამათი გაიმართა ჩემი ტელეპათიური ნიჭის შესახებ. მე ერთ-ერთი დამსწრე ჟურნალისტის დაწინაურება ვიწინასწარმეტყველე... სამი კვირის შემდეგ ეს ჩემი ნათქვამი აღსრულდა კიდეც...

ოღონდ ნუ მკითხავთ, როგორ შევძელი ამის გაკეთება. **გულახდილად და დაუფარავად გეტყვით: თავადაც არაფერი ვიცი ისევე, როგორც ტელეპათიის მექანიზმისა არა გამეგება რა.**

ერთი რამის თქმა შემიძლია მხოლოდ: როცა კონკრეტულ კითხვას მისვამენ ამა თუ იმ კაცის ბედის შესახებ — მოხდება თუ არა მის ცხოვრებაში ესა თუ ის მოვლენა, მე დაჟინებით ვიწყებ ფიქრს და საკუთარ თავს ვუსვამ კითხვას — მოხდება ეს თუ არა? ცოტა ხანში კი რწმენა მებადება: ჰო, ეს ამბავი მოხდება, ან — არ მოხდება... ბევრს, ალბათ, უნებლიეთ აზრი გაუჩნდება — აი, მესინგი მსოფლიოს მატერიალურ აღქმასთან წინააღმდეგობაში მოდისო. მაგრამ ამის საპირისპიროდ ერთი მოსაზრების გამოთქმა მინდა: **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დროთა განმავლობაში ყოველივეს მატერიალისტური ახსნა მოეძებნება.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №159-160, 161-162, 168, 170, 177, 183

საკუთარი წმინდა წყლის ინტუიციური მეთოდი ჩემთვისაც გაუგებარია და სხვებისთვისაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ საფუძვლად მას მატერიალურად ქმედითი მექანიზმი უდევს.

სხვათა შორის, ასეთ ნიჭს მარტო არ ვფლობ. ისტორიულ ქრონიკებში სრულიად მოულოდნელი და გასაოცარი სიზუსტით ახდენილი წინასწარმეტყველების არაერთი შემთხვევაა აღწერილი...

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ზემოთ მოთხრობილზე საზოგადოებრივად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებიც მიწინასწარმეტყველია.

ყველაზე უკეთ მე ვგრძნობ იმ ადამიანის ბედს, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ვხვდები.

საკუთარი წმინდა წყლის ინტუიციური მეთოდი ჩემთვისაც გაუგებარია და სხვებისთვისაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ საფუძვლად მას მატერიალურად ქმედითი მექანიზმი უდევს.

სხვათა შორის, ასეთ ნიჭს მარტო არ ვფლობ. ისტორიულ ქრონიკებში სრულიად მოულოდნელი და გასაოცარი სიზუსტით ახდენილი წინასწარმეტყველების არაერთი შემთხვევაა აღწერილი...

...ეს ამბავი პარიზში, მე-18 საუკუნის მიწურულს მოხდა, სამი საარტლერიო ჯარის ოფიცერი ერთ წინასწარმეტყველ ქალთან მოვიდა, რომელმაც რაღაც აბდაუბდა ჯერ ერთს უთხრა, მერე მეორეს... მაგრამ, მესამის ჯერი რომ დადგა... ქალი მის წინაშე — სულ ნორჩი ყმაწვილის წინ! — უცბად მუხლებზე დაეცა:

— ჩემს წინაშეა საფრანგეთის მომავალი იმპერატორი! ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე გასაოცარი დღეა!

იმპერატორი რომ გახდა, ნაპოლეონ ბონაპარტმა იმ წინასწარმეტყველი ქალის მოძებნა უბრძანებია. მარჩიელმა მეორე ჯერზეც უწინასწარმეტყველა ნაპოლეონს, ოღონდ უკვე განდევნა და დევნილობაში სიკვდილი ატლანტიკის ოკეანეში ჩაკარგულ გულ წმინდა ელენეს კუნძულზე.

ეს ამბავი ნაპოლეონ ბონაპარტის ყველა ფრანგულ ბიოგრაფიაშია აღწერილი.

თეთრი ცხენისგან ან ქერათმიანი კაცისგან სიკვდილი 37 წლის ასაკში პეტერბურგელმა მარჩიელმა გენიალურ ალექსანდრე პუშკინსაც უწინასწარმეტყველა — მისი მკვლელი დანტესი დაბადებიდან ქერათმიანი იყო... ამის შესახებ ვ. ვერესაევი მოგვითხრობს წიგნში „პუშკინი ცხოვრება“.

ძველი დროის მხედართმთავრები მუდამ ქურუმებთან რომ თათბირობდნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და არც არავის უკვირს, მაგრამ, ნაკლებადაა ცნობილი, რომ **ნათელმხილველთა რჩევებს ყურს უგდებდნენ ადოლფ ჰიტლერი, უინსტონ ჩერჩილი — ამ უკანასკნელმა პოლიტიკას მიჰყო ხელი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცნობილმა ნათელმხილველმა გრაფ გამონემ ურჩია.**

დიდი ხნის მანძილზე ცივილიზებული სამყარო „პირდაპირ შემეცნებას“, „მომავლის განჭვრეტას“ თაღლითობად ნათლავდა, მაგრამ მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან ევროპასა და ამერიკაში უკვე იქმნება პარაფსიქოლოგიური მოვლენების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრები. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა „პირდაპირი შემეცნების“ ნიჭით დაჯილდოებული კაცი გუნებაში მომხდარი დანაშაულის სურათის აღდგენასა და ბოროტმოქმედის ზუსტი პორტრეტის დახატვას ახერხებდა. ჩემთვის ცნობილია, რომ ბოლო წლებში ამ მოვლენის შესასწავლ ცდებს აყენებენ.

დიახ, მომავლის არა მეცნიერული, არამედ ინტუიციური განჭვრეტა — ისეთივე ზუსტად დადგენილი ფაქტია, როგორც ტელეპათიის არსებობა. გეთანხმებით, ამის ახსნა ძნელია. ოღონდ ამის გაკეთება ჭირს დროსთან, სივრცესთან, წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან არსებული კავშირების შესახებ ცოდნის ბუნდოვანების პირობებში.

გამორიცხული არ არის, რომ ამ კავშირების შეცნობით შესაძლოა დაიწყოს ინტუიციურის მექანიზმის შესწავლა, რომელიც, მე ეს დანამდვილებით ვიცი, უეჭველად არსებობს.

მინდა ორი მაგალითი მოვიყვანო სულ სხვა სფეროდან. პირველი უცაბედი ანგარიშის გასაოცარ უნარს ეხება, რომლის მქონე ადამიანები, რამდენადაც ვიცი, ყველა დროსა და ყველა ხალხში არსებობდნენ. ეს ნიჭი, ჩვეულებრივ, ადრეულ ბავშვობაში ვლინდება, თანაც 4-5 წლის ბავშვი, რომელმაც არითმეტიკის ოთხი მოქმედების შესახებაც კი არაფერი იცის, ისეთ ამოცანებს ხსნის, რომლებსაც ფესვების ამოღება, ხარისხებში მრავალჯერადი აყვანა და ა.შ. სჭირდება. ზოგჯერ ეს ნიჭი წლებთან ერთად იკარგება, ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდე ნარჩუნდება.

„მომენტალურ“ მრიცხველებს შორის თავის დროზე დიდი სახელი ჰქონდათ გავარდნილი ფრანგ ქალბატონ ოსაკას, ინდოელ ქალს სეკუნტარა დევის, იტალიელ ჯანი ინოდის, ფრანგ მორის დაგბერსა და სხვებს. მაგალითად, ქალბატონი ოსაკა უმალ ამოიღებდა მეექვსე ხარისხის ფესვს, მაგალითად 402 420 747 776 576-დან; ქალბატონი დევი სამ-ოთხ წამში პასუხობდა, თუ რას უდრის 42-ის მე-20 ხარისხი, თანაც შეუძლებელი ამ სფეროში მისთვის არაფერი იყო. „ზღვრისთვის ჯერ არასოდეს მიმიღწევია“, — თქვა მან ერთხელ.

უცაბედი ანგარიშის სპეციალისტებისთვის ხშირად უკითხავთ მათი უნარის საიდუმლოს შესახებ, მაგრამ მათ, ჩვეულებრივ, იმაზე მეტი ვერასდროს უპასუხიათ, ვიდრე ამის შესახებ მე შემიძლია ვთქვა. მათი პასუხების საერთო არსი იმაში მდგომარეობს, რომ **რამდენიმე წამის განმავლობაში ისინი გონებაში გრძნობენ მათ მიერ არაკონტროლირებად ციფრების მონაცვლეობას, შემდეგ კი შედეგი უკვე სრული სახით „ეცხადებათ“. ამოხსნის მსვლელობის გაკონტროლება ან მისი გაანალიზება მათ, ჩვეულებრივ, არ შეუძლიათ, რადგან მისი პროცესი, ფაქტობრივად, არ არსებობს — არის მხოლოდ საბოლოო პასუხი, გარკვეული ციფრი, რომელიც ნებისყოფის დაძაბვით თვალწინ „ინთება“ ხოლმე.** ეს ისევე ხდება, როგორც ნათელმხილველს ამა თუ იმ პირის მიმართ რაღაც ფაქტი ან მოვლენა წარმოესახება.

კიდევ ერთი ფენომენია ეგრეთ წოდებული „როზა კულეშოვას ფენომენი“ ანუ „ხელის თითებით ხედვა“. ცდების დროს, მას თვალებს გაუმჭირვალე ქსოვილით უხვევდნენ, დამატებით წინ ასეთივე ეკრანს უდგამდნენ, მერე ასეთი ორმაგი დაბრკოლების მიღმა ასევე გაუმჭვირვალე შავ ტომარაში ჩადებულ ნაირფერ ქაღალდებს დებდნენ. როზა კულეშოვა მათ იღებდა და ფერს ამბობდა, თანაც ცდის მსვლელობისას მას არ ეუბნებოდნენ, სწორად დაასახელა თუ არა ფერი. **არცერთი ცდის დროს იგი არც ერთხელ არ შემცდარა!**

იმისთვის, რომ ზემგრძნობიარე თითების შესახებ ეჭვი გაექარწყლებინათ, სხვა ცდა დააყენეს: ქაღალდებზე რელიეფურად გარკვეული ტექსტი ამოტვიფრეს. როზა კულეშოვამ მისი წაკითხვა მანამდე ვერ შეძლო, ვიდრე ასოები არ გააფერადეს — მაშინ ქალმა უმალ დაიწყო „კითხვა“.

მეტად საგულისხმო მომენტი ამ დროს ისიცაა, რომ ცდები გაცილებით წარმატებულია, თუკი მაყურებლები ამ დროს კეთილგანწყობილნი არიან.

კიდევ ერთი გარემოება ისაა, რომ არ ღირს ასეთი ხალხის შური: რომ იცოდეთ, თუ რისი „მოსმენა“ მიწევს ხოლმე ჩემი ტელეპათიური ნიჭის წყალობით! ბევრი ადამიანი ხომ, სამწუხაროდ, ტაქტიანობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა...

და ვინმეს თუ ჰგონია, რომ მომავლის განჭვრეტის უნარი დიდი ბედნიერებაა, ძალიან ცდება! სხვათა შორის, არასდროს ვეუბნები ადამიანებს მათი გარდაცვალების თარიღს, არც სხვა სამწუხარო ცნობებს ვუზიარებ. რა საჭიროა ამის გაკეთება? განა უკეთესი არ არის, რომ ვიდრე უბედურება მოხდებოდეს, კაცი მანამდე მაინც იყოს უდარდელი?!

ამდენად, არც ერთი პარაფსიქოლოგიური ნიჭი რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას მის პატრონს არ ანიჭებს. ოღონდ ეს იმ პირობით, რომ იგი წესიერი, პატიოსანი კაცია და თავის უნარს დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, ან პირადი ანგარების მისაღებად არ გამოიყენებს. მაგრამ, იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაშიც კი მას მაინც მიაგნებენ და დასჯიან.

ამდენად, ამ ადამიანებისა ნუ შეგშურდებათ!

თარგმნა
ოთარ ფურაბელიძემ

რუსი ჰაკერები აშშ-სა და ევროპას ემუქრებიან

ბოლო თვეების განმავლობაში რუსი ჰაკერები აშშ-ისა და ევროპის სამთავრობო ქსელებში შეღწევას ცდილობდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია CNN-ი კიბერუსაფრთხოების სფეროში ანალიტიკოსებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ჩარლზ კარმაკალმა, კიბერუსაფრთხოების სფეროში კომპანია Mandiant-ის უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსმა ჰაკერებმა რამდენიმე ტექნოლოგიური კომპანია გატეხეს. მისი თქმით, ბოლოდროინდელი კიბერთავდასხმების დროს რუსმა ჰაკერებმა ახალი ინსტრუმენტები და მეთოდები გამოიყენეს.



„ჰაკერების ჯგუფმა რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებით დაკავებული ორგანიზაციების სისტემაში შეღწევა მოახერხა. მათ სამიზნეს ასევე წარმოადგენდნენ ტექნოლოგიების პროვაიდერები“, — აღნიშნა ჩარლზ კარმაკალმა.

თავის მხრივ, აშშ-ის ფედერალურ მთავრობაში წყარომ CNN-ს განუცხადა, რომ ფედერალური სააგენტოები თვალს ადევნებენ რუსი ჰაკერების ბოლოდროინდელ ქმედებებს. 2020 წელს რუსულ სპეცსამსახურებთან დაკავშირებული კიბერშეტევა აშშ-ის 250-ზე მეტ სახელმწიფო დაწესებულებასა და მსხვილ კომპანიას შეეხო. 2020 წლის დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ფედერალურ უწყებებსა და კორპორაციებზე კიბერშეტევა სულ მცირე 2020 წლის გაზაფხულიდან გრძელდებოდა. მთავარი ეჭვმიტანილი დაჯგუფება Cozy Bear-ი გახდა, რომელსაც რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურს უკავშირებენ.

◎ ტატამზე

„ოქროს“ სტარტი

გიორგი სარდალაშვილის ტრიუმფით გაიხსნა იტალიის ქალაქ ოლბიაში ძიუდოისტთა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი.

18 წლის „ჯვაროსანმა“ აპენინურ ტატამზე ზედიზედ დაამარცხა ჩილელი, მასპინძელი, ყაზახი და ებრაელი მეტოქეები, ხოლო ფინალში აზერბაიჯანელ თურან ბაირამოვს ორი ვაზარით გაუსწორდა.

◎ ხალიჩაზე

არის მესამე!

გენო პეტრიაშვილის „ვერცხლისა“ და ნიკა კენჭაძის „ბრინჯაოს“ შემდეგ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე მედალი ზურაბ იაკობაშვილმა მოუტანა.

თბილისელი ფალავანი 70 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და სკანდინავიური ფორუმის მესამე პრიზიორი გახდა.

◎ ტესტები

უკვე – ფიჯიც...

როგორც მოგეხსენებათ, გიორგობისთვის ტესტებს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 14 ნოემბერს ბორდოში ფრანგებთან მატჩით გახსნის, რომელსაც აქამდე ერთადერთხელ მსოფლიო თასზე შეხვდა და 7:60 დამარცხდა.

ამ დღეებში გაირკვა, რომ ამავე სერიის მეორე მეტოქე ფიჯი იქნება და კუნძულელებს ნეიტრალურ მინდორზე 20 ნოემბერს შევებრძოლებით, თამაშის ადგილი კი მოგვიანებით დაზუსტდება.

როგორც შევიტყვეთ, აქტიურად მიმდინარეობს მესამე სპარინგის გამართვის ვარიანტის განხილვაც.

* * *

ამასობაში ევროპის ორგბის ჩემპიონმა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა კალინინგრადში 37:3 დაჯაბნა ბელგია და ფინალში პორტუგალიასთან შეეცდება ტიტულის დაცვას. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ ნახევარფინალში მეზობელ ესპანეთს 31:12 სძლია.



◎ კორტზე

ძირითად ბადეში

მსოფლიოს 36-ე ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი 29-ე ნომრადაა განთესილი ინდიან-უელსის მასტერსზე და პირველ წრეში თავისუფალია, ხოლო მეორე ეტაპზე ბელარუს იგორ გერასიმოვს ან კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულს შეხვდება.

რაც შეეხება წარმატების შემთხვევაში შემდეგ მეტოქეს, იგა კანადელ ოჟე-ალიასიმსა და რამოს-მუსეტის შორის საუკეთესო იქნება.

◎ დაისი

გმადლობთ, სალომე!

24 წლის ასაკში სპორტული კარიერის დასრულების შესახებ საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ლიდერმა სალომე ფაჟავამ განაცხადა.

მოსკოვში 1997 წელს დაბადებული ჩვენი თანამემამულე რიო დე ჟანეიროსა და ტოკიოს ოლიმპიადებში მონაწილეობდა, მისი ერთ-ერთი ყველაზე წონადი წარმატება კი 2015 წელს ბაქოში გამართულ ევროპის პირველ თამაშებს უკავშირდება, სადაც ბაფთით ვარჯიშში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ბურთით, გურზებითა და რგოლით მეოთხე ადგილები დაიკავა და მცირედი დააკლდა საპატიო კვარცხლბეკამდე, ხოლო მრავალჭიდში ღირსეულ მეტოქეებთან უშეღავათო ბრძოლაში მეხუთე იყო!

საფეხბურთო ბოდაიკა

ერთა ლიგის პირველი ფინალისტი ესპანეთი გახდა, რომელმაც მილანში 37-მატჩიანი სარეკორდო წაუგებელი სერია შეაწყვეტინა იტალიას – 2:1 (ტორესი – 2; პელეგრინი).

* * *

თითქოს მესის წასვლა არ ყოფილიყოს საკმარისი, „ბარსელონას“ სატრანსფერო ვალებიც წამოეწია, რომელიც საერთო ჯამში 115 მილიონ ევროს შეადგენს „იუვენტუსის“, „აიაქსისა“ და „ლივერპულის“ სასარგებლოდ.

* * *

როგორც მოგეხსენებათ, ევრო-2024-ს გერმანიის 10 ქალაქი უმასპინძლებს, ამ დღეებში კი ბერლინში მომავალი ფორუმის ლოგო და დევიზი „ფეხბურთით გაერთიანებულნი: ერთად ევროპის გულში“ წარადგინეს.

* * *

ადამიანმა-გოლმა ერლინგ ჰალანდმა ტრავმის გამო „დორტმუნდის“ სამი უკანასკნელი შეხვედრა გამოტოვა ბუნდესლიგაში და, როგორც ცნობილი გახდა, ვერც ნორვეგიის ნაკრებს დაეხმარება უახლოეს შესარჩევ მატჩებში: დღეს – თურქეთთან და 11 ოქტომბერს – მონტენეგროსთან.

* * *

ჩვენი ძველი ნაცნობის ჩისკო მუნიოსის ნაცვლად „უოტფორდს“ ამიერიდან 69 წლის **კლაუდიო რანიერი** გაწვრთნის, რომელიც აქამდე პრემიერლიგაში „ჩელსის“, „ლესტერსა“ და „ფულჰემს“ ავარჯიშებდა.

გვერდი მოამზადა **გიორგი ზოთაძემ**

მცხეთაში ვაქცინაციის პუნქტები გაიხსნა

მცხეთის მუნიციპალიტეტს 2 ამცრელი დაწესებულება დაემატა. მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მოსახლეობა ვაქცინაციის ჩატარებას სოფელ გალავნისა და სოფელ ძველი ქანდის ამბულატორიებშიც შეძლებს. ისინი უზრუნველყოფილია ანტიშოკური და ანტიალერგიული პრეპარატებით. ამასთან, ყველა სამედიცინო პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები.

ვაქცინაციის ჩატარება მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ამ ეტაპზე 7 სოფელში შეუძლია. კერძოდ, იმუნიზაციის პროცესი ძეგვის, წილკნის, საგურამოს, ქსოვრისის, მუხრანის, ძველი ქანდისა და გალავნის ამბულატორიებში მიმდინარეობს.

ზოგიერთს ვაქცინის მესამე დოზა დასჭირდება

ვაქცინის მესამე დოზით აცრა 50 წლის ზემოთ ადამიანებს და მაღალი რისკის პროფესიების მქონე პირებს შეეძლებათ.

„საბჭომ მხარი დაუჭირა ბუსტერ დოზის გამოყენებას მეორე აცრიდან ექვსი თვის შემდეგ 50 წლის ზემოთ პირებში. ასევე ნებისმიერი ასაკის პირებში, რომლებსაც აქვთ რაიმე ქრონიკული დაავადება, ასევე მაღალი რისკის პროფესიებში, როგორიც არის სამედიცინო პერსონალი, დახურული ტიპის დაწესებულებაში მცხოვრები პირები და იქ დასაქმებული თანამშრომლები“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ.

საქართველოში 12-15 წლის ასაკის ბავშვების ვაქცინაცია იწყება

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას განმარტებით, ამ ეტაპზე, 12-15 წლის მოზარდების კატეგორიაში აცრის გადაწყვეტილება ინდივიდუალურ საფუძველზე მიიღება.

„რაც შეეხება ბავშვების ვაქცინაციას, 12-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ბავშვების აცრის რეკომენდაციას გავცემთ მხოლოდ ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვებისთვის ამ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ბევრმა ქვეყანამ მიიღო ფართო ვაქცინაციის გადაწყვეტილება ამ ასაკობრივ ჯგუფში, ჩვენ პირველ ეტაპზე შევჩერდით მხოლოდ ქრონიკული დაავადებების მქონე 12-დან 15 წლამდე ბავშვებზე. აქაც იკვეთება ჯგუფები, ვისაც სჭირდება ხშირი მოგზაურობა, ან სხვა ქვეყანაში ჩაიტარა უკვე ვაქცინაცია და მეორე დოზა აქვს ჩასატარებელი საქართველოში დაბრუნების შემდეგ. რა თქმა უნდა, მათი მოთხოვნებიც ინდივიდუალურ საფუძველზე იქნება“.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობას იწყებს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდს შორის დღეს ხელშეკრულება გაფორმდება.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის ინფორმაციით, თანამშრომლობა ითვალისწინებს, ფონდის მიერ უნივერსიტეტის ათი წარმატებული სტუდენტისთვის, რომლებიც მასწავლებლის პროფესიას ეუფლებიან, წამახალისებელი სტიპენდიის დაწესებას. ღონისძიება ონლაინ ფორმატშია დაგეგმილი და მას ორგანიზატორებთან ერთად მომავალი სტიპენდიატებიც დაესწრებიან. სტუდენტები დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ იმ პროექტების შესახებ, რომელსაც ფონდი ახორციელებს და რომელში ჩართვაც მომავალ პედაგოგებს უკვე მიმდინარე წლიდან შეეძლებათ.

მიმდინარე სასწავლო წელს გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდმა პარტნიორობა კიდევ სამ სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაიწყო და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გარდა, სტიპენდიების პროგრამა განხორციელდება ზუგდიდის შ. მესხიას და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ჯამში, წელს მაღალი აკადემიური მოსწრების 60 სტუდენტი, რომელიც პედაგოგის პროფესიას ეუფლება, ფონდის მიერ დაწესებულ სტიპენდიას მიიღებს.

პროექტში წელს კიდევ სამი სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაერთო.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარებას და მიზნად ისახავს განათლების საერთო ხარისხის ამაღლებას, განათლების სტანდარტების გაუმჯობესებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. 2017 წლიდან დღემდე ფონდის მიერ დაფინანსდა 25-ზე მეტი საგანმანათლებლო პროექტი თითქმის 3 მლ. (სამ მილიონ) ლარის ოდენობით.

დევნილების გასახლკარება გრძელდება

ქუთაისში, ახალაშენებულ კორპუსებში განსახლების მსურველი იძულებით გადაადგილებული ოჯახების განაცხადების მიღება 22 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება.

დევნილ ოჯახებს განაცხადის შევსება ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ იუსტიციის სახლში შეუძლიათ. განაცხადები ასევე მიიღება დევნილთა სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში შემდეგ მისამართებზე: **ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზ. №27; ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. №106; გორი, სამების ქუჩა №1; რუსთავი, კოსტავას ქ. №20.**

ქუთაისში ბინის მიღების მოთხოვნით განაცხადის შევსება, მთელი საქართველოს მასშტაბით, რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს შეუძლიათ. ახალი განაცხადი უნდა გააკეთონ იმ დევნილმა ოჯახებმაც, რომლებსაც ქუთაისში ბინის მიღების მოთხოვნით აპლიკაცია წინა წლებში აქვთ შევსებული.

ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩაზე 800 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 5 კორპუსი შენდება.

ეკომიგრანტთა კიდევ 130 ოჯახი გაიხარებს!

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ კიდევ 130 ოჯახს სახლს შეუსყიდის.

სააგენტოს დირექტორის ბესარიონ სიმონიშვილის განცხადებით, პროექტის ფარგლებში, გამოყოფილი თანხა გაიზარდა.

„სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, საცხოვრებელი ფართის შერჩევისთვის ერთთვიანი ვადა ეძლევათ. მნიშვნელოვანია, რომ წელს, სახლის შესყიდვის მიზნით, თითოეული ოჯახისთვის გამოყოფილი თანხა 25 000 ლარიდან 30 000 ლარამდე გავზარდეთ. ეკომიგრანტები ამ სასიკეთო ცვლილებით უკვე სარგებლობენ“, — განაცხადა ბესარიონ სიმონიშვილმა. ეკომიგრანტი ოჯახების მიერ შერჩეულ სახლებს, უმეტეს შემთხვევაში, თან ახლავს მიწის ნაკვეთები, რაც მათთვის შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს.

2021 წელს სააგენტო უსაფრთხო გარემოში 200-ზე მეტ ეკომიგრანტ ოჯახს განასახლებს.

კონკურსის „შეაჩერე პლასტმასით დაბინძურება“ გამარჯვებული ჟურნალისტები

კონკურსის „შეაჩერე პლასტმასით დაბინძურება“ გამარჯვებულ ჟურნალისტებს ჯილდოები გადაეცათ.

პირველი ადგილი თეა თოფურიამ (რადიო თავისუფლება), მეორე ადგილი კი, ანანო მჭედლიშვილმა (on.ge) დაიკავეს. გამარჯვებულები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა დააჯილდოვა.

სამტრედიული თაფლი საფრანგეთში...

კომპანიის „აპიჯეო“ წარმოებული 45 ტონა თაფლის ექსპორტი საფრანგეთის რესპუბლიკაში უკვე განხორციელდა; 90 ტონა სარეალიზაციოდ მზადდება,— ამის შესახებ აღნიშნულია სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კომპანიის „აპიჯეო“ თაფლის გადამმუშავებელი საწარმო სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. საწარმოს შექმნისათვის სრული ინვესტიცია 500,000 ლარის ოდენობით განხორციელდა, საიდანაც, 300,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტია. საწარმოში 12 ადამიანია დასაქმებული.

სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი და იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილ საწარმოში „აპიჯეო“ იმყოფებოდნენ, სადაც თაფლის სარეალიზაციოდ მომზადების პროცესს გაეცნენ.

სანთელი

გიორგი ლორთქიფანიძე



საქართველოს ტექნიკურ ინტელიგენციას გამოაკლდა ცნობილი მშენებელი, ღირსეული მოქალაქე, კარგი მეგობარი, საზოგადოების შესანიშნავი წევრი და არაჩვეულებრივი მეოჯახე გიორგი ლორთქიფანიძე

ბატონი გიორგის სიცოცხლის განვლილი 83 წელი აღსავსეა კეთილი საქმიანობით და სანიმუშო მაგალითია საქმის მცოდნე, მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარეობის, მეგობრობის, თავისი ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული კაცის ცხოვრებისა.

აღსანიშნავია ბატონი გიორგის შრომითი მოღვაწეობა საქართველოს ყოფილი მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მისმა მაღალმა კვალიფიკაციამ და საქმისადმი სიყვარულმა განაპირობა მისი დაწინაურება მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამრეწველო გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

გიორგი ლორთქიფანიძის ღვაწლს მიეკუთვნება მრავალი მსხვილი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტის მშენებლობა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ქალაქ თბილისში საბინაო მშენებლობის განვითარებაში.

მშენებლობის საქმეში მის მიერ გაწეული დაუღალავი შრომითი ღვაწლისთვის გიორგი ლორთქიფანიძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება. მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში.

წავიდა ჩვენგან მშენებელთა ძველი პლეადის ღირსეული წარმომადგენელი, რომლის ხსოვნა დარჩება მშენებელთა რიგებში.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“, სააქციო საზოგადოება „სოფლმშენი“, მეგობრები გოგი ბერაძე, თეიმურაზ ჯანაშია და ნოდარ თოფურია მწუხარებით იუწყებიან, რომ საქართველოს ტექნიკურ ინტელიგენციას გამოაკლდა ცნობილი მშენებელი, ღირსეული მოქალაქე, კარგი მეგობარი და საზოგადოების შესანიშნავი წევრი, ბატონი

დემურ კოვზირიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიზო ზარნაძე, ლონდა ჩიკვაიძე, ნათელა ქიმერიძე, ომარ შურღაია, ვიტალი მიქიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელისა და მეგობრის, პროზაიკოსისა და დრამატურგის

დიმიტრი ლობჯანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა ამირან ქადეიშვილი



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი ამირან ქადეიშვილი.

მსახიობმა სასცენო მოღვაწეობა ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში დაიწყო. პარალელურად, იღებდნენ ქართულ კინოში, სადაც არაერთი საინტერესო სახე შექმნა: ნიკოია („სემირამიდას ბაღები“), ტარბა („მთვარის მოტაცება“), ჭოლა („პირველი მერცხალი“), ხირხალა („სიყვარული ყველას უნდა“), კობიძე („სახლი ლესნაიაზე“), ერმილე მამალაძე („მევლუდი“). 2012 წელს მსახიობს ოზურგეთის თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს; 2018 წელს კი ამირან ქადეიშვილს ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადაეცა.

რეაქციული რეაქცია...

მამა-შვილმა მელიებმა იმდენი აქეს ერთმანეთი და იმდენი იტრაბახეს, რომ ბუქი დააყენეს და თავი ლომებად წარმოადგინეს

მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, შევშინდი, ეკრანზე შარვლიანი გრიგოლიას ქალი რომ დავინახე, ასე მეგონა ან შარვალი ნაკერებზე გაუსკდებოდა, ან თვითონ ამოგორდებოდა შემოტკუცული შარვლიდან. მერე უკვე, მამა-შვილი მელიები რომ მოისხა აქეთ-იქიდან, იმათზე გადავიტანე მზერა.

მამა-შვილმა, კარგმა, რასაკვირველია, ერთმანეთი რომ არ უნდა აგინოს, ცხადია, მაგრამ ის, რაც ახლა სამშაბათს მაყურებელს აჩვენა „ტვ პირველმა“ (ძველი ბერძენი სოფისტი ზოილისდამაგვარმა უსამართლო, ღვარძლიანმა კრიტიკოსმა) ნამდვილად უკადრებლის კადრება იყო. ეკრანზე გორგალივით მოგორავე გრიგოლიას ქალმა ჯერ მამას, ანზორ მელიას, შეაფასებინა შვილი ნიკანორი, თავად ზუგდიდის მერობის კანდიდატს თბილისის მერობის კანდიდატი, მერე ახლა თვითონ ნიკანორმა შეაფასა მამა, რომელიც ზუგდიდის მერობის კანდიდატად თვითონ წამოაყენა. და დადგა ბუქის კორიანტელი, ბაქიბუქს დასასრული არ უჩანდა. ამან უხერხულობა შექმნა მაყურებელში ზუსტად ისე, როგორც მაშინ ხდება, როცა სხვის მაგივრად შენ გრცხვენია. ვიცით, რომ როგორც ერთის, ისე მეორის წინაშე მეორე ტურია, მაგრამ ჯერ გაუჩენელ ბავშვებს უკვე დაარქვეს აბრამად სახელები. ის კი არა, ნიკანორმა ჩრდილოვანი მთავრობაც ჩამოაყალიბა და პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგა. შვილს არც მამა ჩამორჩა, უკვე ახალი კლინიკა გახსნა ზუგდიდში. ერთი სიტყვით, ტკაცატკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანს.

გრიგოლიას ქალის ლაქუცი ანზორ მელიას მიმართ აღარ გამკვირვებია, როცა იმისაგანვე შევიტყვე, რომ მელიას პაციენტი ყოფილა (ცხადია, მუქთა), პროფესორმა მელიამ, როგორც ჩანს, ახალი, სხვისი გული გადაუნერგა ან, დავუშვათ, სულაც დააავიწყდა გულის გადანერგვა, და სხვა რაღაც შხამიანი პარკუჭი ჩაუნერგა ყროყინა გრიგოლიას ქალს. ამიტომ, როცა კი რეაქციას ცნობისმოყვარეობის გამო ვუყურებ, ყოველთვის ვგრძნობ, რომ შხამს აფრქვევს და რეაქციაც რეაქციული გამოსდის. არადა, კრიტიკული ჟურნალისტი ვარო. გვატყუებს, თავის მოკლე ჭკუით.

რასაკვირველია, ასე იყო ამჯერადაც.

გივი ხოტივარი,
ჟურნალისტი,
ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მესტიის კინოფესტივალის გამარჯვებულნი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით მესტიამ მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა. ფესტივალის ფარგლებში მაყურებელმა 37 საკონკურსო ფილმი იხილა. გამოვლინდა საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი და საუკეთესო მთის თემატიკის ფილმები. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები. ფესტივალზე ასევე დასახელდა ორი განსაკუთრებული პრიზის მფლობელი. ესენია საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო კინოგამოსახულება, გრანპრი.



გამარჯვებული ფილმები გამოავლინა საერთაშორისო ჟიურიმ, რომლის წევრები იყვნენ **ნანა ჯორჯაძე** — თავმჯდომარე, **ბარბარა გასერი** — კინოჟურნალისტი, „გოლდენ გლოუბის“ ჟიურის წევრი ავსტრიიდან, **ზვიად დოლიძე** — კინოისტორიკოსი საქართველოდან, **ემილის ველივისი** — ცნობილი კინორეჟისორი ლიეტუვადან, **ვლადიმერ კარაჩევსკი** — კინოსტუდია „ბელარუსფილმის“ და კინოფესტივალ „ლისტალადის“ გენერალური დირექტორი, პროდიუსერი ბელარუსიდან.

გამარჯვებულები გახდნენ: საუკეთესო როლი — მიშა გომიაშვილი, ლალი კიკნაველიძის ფილმში; საუკეთესო მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი — **„ლატარია“** (ბანგლადეში); საუკეთესო მხატვრული გადაწყვეტილება — **„თანაარსებობა“** (ირანი); საუკეთესო მთის თემატიკის ფილმი — **„K2 და უხილავი მთამსვლელები“** — პაკისტანი, აშშ; საუკეთესო მხატვრული ფილმი (გრან-პრი) — **„გაზაფხულის დღეები“** (მაროკო).

წყალდიდობა იტალიაში

წყალდიდობაა იტალიაში — გადაუღებელი წვიმის შედეგად, ლიგურიის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში დატბორილია ქუჩები, დაბლოკილია გზები, ჩამოწვა რამდენიმე მეწყერი, შეწყვეტილია სასწავლო პროცესი. ინფორმაცია დაშავებულთა შესახებ არ ვრცელდება.

გამაოგნებელი მოგება

კალიფორნიაში, ლატარიაში მამაკაცმა 699.8 მილიონი დოლარი მოიგო. ეს, მოგებული თანხის რაოდენობით, ქვეყნის ისტორიაში მეშვიდე მოგებაა.

გამარჯვებულს პრიზის სრული თანხის მიღება ნაწილ-ნაწილ. 29 წლის განმავლობაში, ან დაუყოვნებლივ $496 მილიონის მიღება შეუძლია. ამასთან, ამავე ლატარიაში კიდევ 5 ამერიკელმა 41 მილიონი მოიგო.

იყიდება მუჰამედ ალის ნახატები



ლეგენდარული მოკრივის, მუჰამედ ალის მიერ შესრულებული ნახატების კოლექცია 26 ნახატისგან შემდგარი კოლექცია ნიუიორკში, Bonhams-ის აუქციონზე 945 524 დოლარად გაიყიდა. ალის ნახატები აუქციონზე კოლექციონერმა როდნი ჰილტონ ბრაუნმა გაიტანა. ალი ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სახელოვანი სპორტსმენია, თუმცა მისი მხატვრული ნიჭის შესახებ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.

2 700 წლის საპირფარეშო

ისრაელში არქეოლოგებმა კერძო საპირფარეშო აღმოაჩინეს, რომელიც სავარაუდოდ 2 700 წლის წინ აშენდა. იერუსალიმში, ძველ ქალაქში, საპირფარეშო დიდ სახლში მდებარე ოთახში იყო განთავსებული.



ტუალეტი კირქვის მართკუთხედ ქვას წარმოადგენს, რომლის ცენტრშიც ნახვრეტია გაკეთებული. ქვა ღრმა სეპტიკის თავზეა მოთავსებული. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ იმ დროს კერძო საპირფარეშო მფლობელის სიმდიდრის სტატუსზე მიუთითებდა. აღმოჩენის ადგილზე არქეოლოგიური სამუშაოები გრძელდება.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
აშშ დოლარი - 3.1484; ევრო - 3.6326;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2705;
100 რუბლი - 4.3349; თურქული ლირა - 0.3541;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8511;
1000 სომხური დრამი - 6.5016.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+13

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲐᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge